პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 229 (19970) კვირა, 4 ოქტომბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ვილვაწოთ ყოველ საქმეში წესრიგის დასამყარებლად

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრები მურმანსკის ოლქის მშრომელებთან

მურმანსკი, 2 ოქტომბერი. (საკადრისის სპეც. კორ. ა. ბელიკოვი, ვ. ბელოუსოვი, ნ. ყელეზნოვი). დღეთან, კოლის ნახევარკუნძულზე ყოფნის უკანასკნელ დღეს მ. ს. გორბაჩოვი შეუდგა ოლქის სახალხო მეურნეობის ახალი, პერსპექტიული დარგის — ნავთობგაზის მრეწველობის გაცნობას. აქ უკვე ახლა რამდენიმე ათასი ქვეყნიერი და სპეციალისტი მუშაობს, შექმნილია სათბობის საზღვერ-მომპოვებელი სპეციალური ფლოტი.

ახალი მიმართულების აღიარებული ლიდერები გახდნენ „არქტიკაზღვანავთობგაზზვერვის“ და „საკგეოზღვის“ გაერთიანებათა კოლექტივები, რომლებიც ეწევიან ჩრდილოეთის ზღვების შელფის წიაღის ზვერვასა, და ათვისებას. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის სათავეებთან იდგნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, სხვა სამეცნიერო ცენტრების წამყვანი ინჟინრები. გეოლოგ-მზვერავებთან, საზღვაო მეფლოტეები საბურღი დანადგარების სპეციალისტებთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრაზე საუბარი მარტოოდენ მეცნიერებას როდი ეხებოდა. დარგის პირველმა ნაბიჯებმა მოითხოვა მრავალი მომიჯნავე ორგანიზაციის ძალისხმევის ზუსტი შეპირაპირება. უწყებათშორისი ბარიერების დაძლევის მთავარი სიძნელენი უკან დაგვრჩა, უთხრეს მიხეილ სერგეის ძეს სპეციალისტებმა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოგვიგვარებია სხვადასხვა დასანანი უწესივრობის აღმოფხვრის საქმე. მაგალითად, მომზადებულია მთელი მოწყობილობა ახალი გამოთვლითი ცენტრისათვის. მაგრამ რა გინდა რომ ქნა: მისი დასადგმელი ადგილი არსად არის.

მ. ს. გორბაჩოვი: ეს რა წესია, რა გიშლით ხელს? ჩვენ ხომ ახლახან მიიღეთ ორი ახალი საწარმოო კორპუსი. გაათავისუფლეთ ერთი მათგანის ნახევარი. მე ვფიქრობ, ადმინისტრაცია შემჭიდროვდება... ეს არის და ეს მთელი საკითხი.

ცხოვრების წიაღიდან, უშუალოდ პირველწყაროდან მიიღოს მართალი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ჩაღდება გარდაქმნა ქვეყანაში, რა საზრუნავი და საფიქრალი აქვთ შრომითს კოლექტივებს. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში თავისი სამუშაო მივლინებათა ამ მთავარი მიზნის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს არაერთგზის ულაპარაკია მშრომელებთან შეხვედრებზე, რომლებიც გამართულა პირველი ტელეხედვა ჭუჩებში და მოედნებზე, მინდვრად და მშენებლობაზე. არც მურმანსკელებთან შეხვედრები ყოფილა გამონაკლისი.

ეგგენი რანეევმა, „მურმანსკზღვაშენის“ ბრიგადირმა ვერ შეძლო ესაუბრა მიხეილ სერგეის ძესთან და გამოგვიტყდა, რომ ძალზე გულნატკენია ამ გარემოებით. არა, იმიტომ კი არა, რომ რაღაც პირადი, „გადაუწყვეტელი“ საკითხი ჰქონდა მომზადებული...

— მინდოდა მიხეილ სერგეის ძისათვის მეთქვა,— გაგვიზიარა გულისნადები ბრიგადირმა, — იმედიანად იყოს, ნუ შეეპარება ეჭვი, რომ ჩვენს მუშურ მხარდაჭერას არ მოვაკლებთ გარდაქმნის კურსს. ჩვენ, მუშებს, გვახარებს, რომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ასე შეუპოვრად და მედგრად იბრძვის წესრიგის დასამყარებლოო ყოველ საქმეში, მათ შორის, ფასების პოლიტიკაშიც, რომელზეც ყოველი ჩვენგანის ეშმარიტი კეთილდღეობაა დამოკიდებული.

ერთ-ერთ დღევანდელ შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თქვა:

ვერ მივცემთ ჩვენს თავს იმის ნებას, რომ ხალხისათვის ასეთი საჭირბოროტო საკითხი შეფარულად წყდებოდეს კაბინეტებში, ამიტომ მას ფართო განხილვისათვის გამოვიტანთ.

ერთი მხრივ, განაგრძო მ. ს. გორბაჩოვმა, ძირითადი სასურსათო პროდუქტების მცირე ფასების შედეგად, რომლებიც აგერ უკვე 20-30 წელია არ შეცვლილა, პატივისცემა დაკარგა მთავარმა პროდუქტმა — სურსათ-სანოვაგემ. დაუფიქრდით: იმან, რაც სიცოცხლის წყაროს წარმოადგენს, დაკარგა თავისი პრესტიჟი. არადა, ამქვეყნად საუკუნეთა მანძილზე იდგა ლუკმაპურის შოვნის პრობლემა.

მეორე მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ სასურსათო პროდუქტების პრესტიჟის ამაღლების საკითხი მარტოოდენ ამ პროდუქტების ფასების მომატების გზით ვერ გადაწყდება. ეს იგივეა, რომ მუშაკაცს ჯიბიდან ამოაცალო ფული. ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას წინდახედულად, რათა მშრომელი ოჯახის ბიუჯეტი არამც და არამც არ დაზარალდეს.

შუადღისას მ. ს. გორბაჩოვი ქალაქ სევერომორსკში ჩავიდა. მან დაათვალიერა თანამედროვე წყალქვეშა ნავები, წყალზედა სამხედრო ხომალდები. პირად შემადგენლობასთან საუბრისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გამოკითხა, როგორ მიმდინარეობს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, რა მონაწილეობას იღებენ სევერომორსკელები დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საუბრისას შეეხნენ აგრეთვე ოფიცერთა და მიჩამანთა საბინაო პირობების, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მუშაობის პრობლემებს.

შეჯამა რა ატომურ წყალქვეშა ნავზე გამართული შეხვედრის შედეგები, მ. ს. გორბაჩოვმა თქვა:

— მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენ ძნელ სამსახურს, რომელშიც ყველაფერი უნდა იყოს საიმედო. საფუძვლიანი და, ვიმეორებ, საიმედო. თქმა არ უნდა: თქვენ უდიდესი ძალა გაქვთ მონდობილი. მაგრამ ყველაფერი ადამიანის ხელშია. თქვითო, ვინშეს ხომ არ გასცრუებია იმედი, ეს განსაკუთრებით ოფიცრებს ეხებათ, რომ ფლოტს ემსახურებიან?

— აქ ყველანი თავიანთი ხომალდის პატრიოტები არიან, ისევე როგორც ყველანი თავიანთი სამშობლოს პატრიოტები არიან, — უპასუხეს მეზღვაურებმა.

მ. ს. გორბაჩოვი: საუცხოოა. ასეც უნდა იყოს.

კიდევ ერთი შეხვედრა — ატომურ რაკეტოსან კრეისერ „კიროზე“. მწყობრში გარინდულან ოფიცრები, მიჩმანები, მატროსები, წითელდროშოვანი ჩრდილოეთის ფლოტის სახელოვანი ტრადიციების მემკვიდრენი.

მომართა რა მეზღვაურებს, მ. ს. გორბაჩოვმა თქვა:

სადაც უნდა ვყოფილიყავ — აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, სამხრეთსა თუ ჩრდილოეთში, — შრომელები გამოთქვამდნენ ერთ სურვილს, რომ მთელი ჩვენი მონაპოვარი საიმედოდ იყოს დაცული. მუდამ გახსოვდეთ ეს.

ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საზოგადოება, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, გარდატეხის ეტაპზე იმყოფებიან. დარწმუნებული ვართ, რომ შეეძლებთ დაძლიოთ ამ ეტაპის ყველა ამოცანა. დარწმუნებული ვართ. ის კი არა, ორგზის, სამგზის დარწმუნებული. თქვენი ამოცანაა აკეთოთ თქვენი საქმე ნამუსიანად, კეთილსინდისიერად. გისურვებთ კარგ სამსახურს.

საბრძოლო ხომალდების წვეის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფს. მათ ეს ჯილდოები მიენიჭათ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებასა და საბრდლობის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

მიხეილ სერგეის ძე გორბაჩოვმა წითელი ვარსკვლავის ორდენი გადასცა მე-2 რანგის კაპიტანს ვ. ა. კოლესნიკს, 1-ლი რანგის კაპიტანს რ. ზ. ჩერბოტარევსკის.

მხედრული შრომისათვის გულითადი მადლიერების სიტყვებით მოიხსენიეს მე-2 რანგის კაპიტნები ი. ა. ბელოზერცევი, ა. გ. ბუგლაკი, ვ. ი. ერმოლაევი, მე-3 რანგის კაპიტნები ი. ი. ონუჩინი, ნ. ვ. ჩაბანეცი, 1-ლი რანგის კაპიტანი მ. ი. პლიუევი. ბევრ სხვა ოფიცრებთან ერთად მათ მიენიჭათ მე-3 ხარისხის ორდენები „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“.

უშაკოვის მედლით დაჯილდოებულთა შორის არიან მე-2 თანრიგის ზემდეგები გ. ვ. ბარტუშევიჩუსი, ვ. ვ. ზამისლოვი, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — მიჩმანები ნ. პ. ვიალკო, ს. ბ. სურგუტოვი, კაპიტან-ლეიტენანტები ვ. ნ. ბრესტსკი, ა. ნ. ლობანოვი, მედიცინის სამსახურის კაპიტანი პ. მ. ტკაჩუკი.

ნახიმოვის მედლით დაუფასეს დამსახურება მატროსს პ. ი. მუშტაკოვს, მიჩმან ა. ლ. რუდაკოვს, მე-2 თანრიგის ზემდეგს დ. ი. ჩეპენკოს.

ეს დიდი მოვლენაა თქვენს ცხოვრებაში — სამშობლოს საპატიო ჯილდოების მიღება, თქვა მიხეილ სერგის ძემ, როდესაც სამხედრო მოსამსახურეებს მიმართა. იმას, რაც თქვენ გააკეთეთ და რისთვისაც მოგენიჭათ ჯილდოები, ჩვენ დიდად ვაფასებთ. თქვენ მეზღვაურებს უჩვენეთ ნიმუში სამსახურისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა. გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ◆ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ◆ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲤᲠᲔᲜᲐ

ᲘᲣᲠᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲜᲙᲝ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ განგრძობენ მუშაობას „მირ“ სამეცნიერო-საკვლევ კომპლექსში. ეკიპაჟის მეთაურს დაეწყო კოსმოსური ვახტის ოცდაშეთხუთმეტე კვირა, და მან უკვე გადაამეტა ლეონიდ კიზიმის, ვლადიმერ სოლოვიოვისა და ოლეგ ატკოვის მიღწევას, რომლებმაც 1984 წელს ორბიტაზე 237 დღეს იფრინეს.

ახლა კოსმონავტები გადიან მორიგ სამეფიცინო გამოკვლევას, რომელიც გულისხმობს გულსისხლძარღვთა სისტემის კომპლექსურ კვლევას, მათ შორის ულტრაბგერული ლოკაციის მეთოდის დახმარებით. დაგეგმილია აგრეთვე სადაგური ცალკეული აგრეგატების რეგლამენტური მომსახურება, ვარჯიში ველოერგომეტრსა და „მრბოლ“ ბილიკზე.

ეკიპაჟმა უკვე შეასრულა ორბიტული კომპლექსის ორიენტაციის სხვადასხვა მეთოდის დასახვეწად ტექნიკური ექსპერიმენტების სერია.

კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. ფრენა დასახული პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს.

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲓᲦᲔᲡ 12 საათზე ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს, საგამოფენო დარბაზში (მელიქიშვილის, 1) საქართველოს სსრ კოსმონავტიკის კომიტეტისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ინიციატივით იხსნება საინტერესო გამოფენა, რომელიც კოსმოსური ერის 30 წლისთავს ეძღვნება.

გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოს მხატვართა მიერ კოსმოსის თემაზე შექმნილი ნამუშევრები, კოსმონავტების ე. ლეონოვისა და ვ. სოკოლოვის ნახატები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲓᲐ საიუბილეო სტატისტიკური წელიწდეული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა 70 წლის მანძილზე“ (გამომცემლობა „ფინანსები და სტატისტიკა“), რომელიც მოამზადა სსრ კავშირის სახსტატკომმა. კრებულში მოყვანილია საბჭოთა ხელისუფლების 70 წლის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები, დახასიათებულია სოციალიზმის მშენებლობის ძირითადი ეტაპები, გაშუქებულია საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საკითხები.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო გარდაქმნა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის საერთო-საკავშირო სამინისტროდ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის სოფელ ჩხორიის საშუალო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი მარიზა ფიფია. (მასალა ფიფიების პედაგოგიურ ოჯახზე იხილეთ მე-4 გვერდზე).

შენა ხარ ფუძე

ამ დღეს, მასწავლებლის პატივსაცემად რომ არის დაწესებული, ერთხელ კიდევ — მერამდენედ! — შემწეობა და მხარდაჭერა უნდა ვთხოვო ქართველი ხალხის ერთ-ერთ უპირველეს მოძღვარს ილია ჭავჭავაძეს:

„თუ წვრთნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისვა გულში და იმან შენ, ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივ ადამიანია და მით უფრო საცნობელი, რომ ძნელად წასაკითხი ქარაგმით არის დაწერილი...

დიდი რამ არის ოსტატის მოხერხულობა, ყოფაქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულობა. ერთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშვის გაადამიანებაზე, ვიდრე სამისა თუ ოთხი წლის ზეპირება გრამატიკისა თუ სხვა რისიმე ამისთანისა“.

საქართველოს ამ სხივმოსილმა მამამ, რომლის დაბადების 150 წლისთავსაც ამ დღეებში იზეიმებს სრულიად საქართველო და მისი ყველა თანამოძმე ხალხი, უზუსტესად განსაზღვრა მასწავლებელთა მისია ამ ქვეყნად.

ძვირფასო მასწავლებლებო! დღევანდელი ქართული მწერლობაც, გამომხატველი ჩვენი ხალხის გულისთქმისა, უგულწრფელესი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ თქვენს ლამაზ პროფესიულ დღესასწაულს.

გილოცავთ, მადლობას გიხდით, თაყვანს გცემთ და გისურვებთ თქვენი საშვილიშვილო მოღვაწეობის ისე წარმართვას, რომ თქვენსავ მიაყრობილი არცერთი მზერა არ დაგრჩეთ შეუმჩნეველი, თქვენს წინ მერხებზე მსხდომი ნორჩი პიროვნებების არცერთი ტკივილი თუ სიხარული არ დატოვოთ უყურადღებოდ!

როდის ყოფილა თქვენი შრომა იოლი, მაგრამ ახლა, ჩვენი ცხოვრების ამ ჯადოსნური გარდაქმნისა და განახლების პეროდში, კიდევ უფრო ამაღლდა თქვენი პასუხისმგებლობა წინაშე დროისა, ერისა, მომავლისა.

მე, როგორც მშობლიური მწერლობის ერთი ჯარისკაცი, მთელი სიცოცხლით ჰედაგოგიური საზოგადოების ინტერესებთან დაკავშირებული, დღედაღამ იმას ვლაღადებ, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მასწავლებლის პრესტიჟს, სახელსა და დიდებას; ყველა ჭეშმარიტმა მოკეთემ ქვეყნისა, უკლებლივ ყველა დიდმა და პატარა ხელმძღვანელმა ხელი უნდა შეუწყოს სკოლას და მის კოლეტივს, როგორც ვიტყვით ხოლმე, სული არ უნდა დაიშუროს იმ ადამიანისთვის, ვისაც ნორჩი თაობის ბედი აბარია. არც ის დავივიწყდეს, საქართველოს კომპარტიამ მეთორმეტე ხუთწლედი მშობლიურ სკოლაზე ზრუნვის ხუთწლედად რომ გამოაცხადა.

ზეიმი რომ გვაქვს, მე ამიტომ არ გეფერები,
შენა ხარ ფუძე ჩვენი ქვეყნის ბედნიერების!

სულ შენთან რომ ვარ, მე ამიტომ არ გეუბნები, —
მე ვლაპარაკობ ძმადნაფიცის წმინდა უფლებით.

— მასწავლებელო, აღზევება როცა ინატრო,
გთხოვ, გაიხსენო რომ ბავშვების გულში ბინადრობ

და არ გჭირდება აღზევება არავითარი...
ამ ციხეებში არვინ დადის შენზე მდიდარი.

მასწავლებელო, ვერ გიხილონ გულდაწყვეტილი,
ვისა აქვს, ნეტავ, საზრუნავი უფრო კეთილი?

ამაგი შენი, დროთა ხვლისგან რომ არ ხუნდება,
ვითარცა ექო, ერთიანად დაგიბრუნდება.

თვითონვე ბრძანე, ეს გოროზი გოგო-ბიჭები,
მსოფლიო გზებზე დღეს რომ მშვიდად დაბიჯებენ;

მათი უსიტყვო ერთგულება, ჩუმი ალერსი,
არ მიგვთვლება როგორც ჯილდო უზენაესი?

...როს მასწავლებელს ხელი თბილი, გული ცხელი აქვს,
ეს იმას ნიშნავს, საქართველო უძლეველია!

* * *

ხალხო მშობელო უთვალავთა ვმირთა და ბრძენთა,
ეს დღეც ასე გთხოვს უერთგულეს შვილებთან ერთად:

— მასწავლებელი დაიწერე გულის დაფაზე,
მასწავლებელი დაიფიცე და დაიფასე;

გარჯა მოძღვრისა ერთი წამით არ დაამცირო,
არ დაამცირო, თუ არა გსურს, მტერი აცინო;

მასწავლებელი აღამაღლე, როგორც არასდროს,
თუ არ გსურს, სიბრძნეშ მიგატოვოს და გიღალატოს;

მასწავლებელი შთააგონე დიდი აზრებით,
რომ კვლავ ქვეყანას გაუზარდოს ბუმბერაზები;

თვალისჩინივით გაუფრთხილდი შვილების კამზრდელს,
რომ ფუძეი მისი სათნოების არასდროს დაზრეს.

ვინც არ დაუთმობს მასწავლებელს გზას მოკრძალებით,
ხვალინდელ დღესაც ვერ განსვენებენ მისი თვალები.

...როს მასწავლებელს გზაგაშლილი სარბიელი აქვს,
ეს იმას ნიშნავს, საქართველო უძლეველია!

ᲮᲣᲗᲐ ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐ,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲥᲢᲘᲕᲗᲐᲜ

2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ქალაქ მურმანსკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს მ. ს. გორბაჩოვს ყოფნის ბოლო დღეს გაიმართა შეხვედრა პარტიის სოლქომის კომიტეტის ბიუროს წევრებთან, საქალაქო და საოლქო ორგანიზაციების საბჭოთა და სამეურნეო აქტივთან.

აქტივზე გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ მურმანსკისათვის ლენინის ორდენსა და „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის დადაცემისას მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში წამოყენებულ დებულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს გადაჭრილ მიმდინარე ეტაპის ამოცანების პრაქტიკულად რეალიზაციისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თავიანთი კოლექტივების სახელით მათ მხარი დაუჭირეს წინადადებებს, რომელთა მიზანია ჩრდილოეთ ევროპაში ვითარების ნორმალიზაცია, ამ რაიონში უშიშროების პრობლემების გადაჭრა.

მ. ს. გორბაჩოვმა შეკრებილთ გაუზიარა მოგზაურობის, შრომითს კოლექტივებში, ოლქის მცხოვრებლებთან და ჩრდილოეთის ზღვის მეზღვაურებთან შეხვედრებისა და საუბრების შთაბეჭდილებანი. მან ხაზგასმით აღნიშნა მშრომელთა მზარდი აქტიურობა და ინიციატივა გარდაქმნის საქმეებში, დემოკრატიისა და საჯაროობის გაფართოებაში.

მიხდა კიდევ ერთხელ ვთქვა, განაცხადა გენერალურმა მდივანმა, რომ აქტივი, პარტიული ორგანოები არ ჩამორჩებოდნენ ამ პროცესს, იძლეოდნენ გარდაქმნის ამოცანების სწორი გაგების მაგალითს, ხედავდნენ და წყვეტდნენ საბჭოთა ადამიანების საჭიროებებს. ამ მიზნით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელებს შორის, შრომითს კოლექტივებში პარტიული ორგანიზაციების ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობის ყოველმხრივ გაშლას.

პარტიული და სამეურნეო ორგანოების, საწარმოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელების თვალთახედვის არეში, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, მუდამ უნდა იყოს სოციალური პრობლემების კონკრეტული გადაწყვეტა. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ მურმანსკის მეზღვაურები წუხლით ლაპარაკობენ ბინების მშენებლობაში, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ჯანმრთელობის დაცვაში არსებულ ნაკლოვანებებსა და უწესრიგობაზე.

ჩვენი ქვეყანა, ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, დაინტერესებულია კოლის ნახევარკუნძულის განვითარებით, მისი სიმდიდრეების ეფექტიანი გამოყენებით.

ამასთან დაკავშირებით განიხილეს მურმანსკის ოლქის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პრობლემები.

(საკადესი).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ Մ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი მურმანსკიდან მოსკოვს დაბრუნდა.

(საკადესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ გამართულ მორიგ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა 1987-1988 წლების ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მზადების საზოგადოებრივი რეიდ-დათვალიერების შედეგები. აღინიშნა, რომ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ყველა პარტიული კომიტეტი, სამინისტრო, უწყება, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანო ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ მოჰკიდებია მომავალი ზამთრისათვის სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების, საბინაო ფონდის მომზადების საკითხს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომისიას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამუშაო ჯგუფს, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალათ რეგულარულად განიხილონ ზამთრის პირობებში მუშაობისათვის მზადების მიმდინარეობა და საჭიროების შემთხვევაში შემოიტანონ წინადადებანი ამ საქმეში ჯეროვანი წესრიგის დაუყარებლობისათვის სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების, ცალკეული ობიექტების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ.

განიხილეს სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისათვის დამტკიცებულ დავალებათა შესრულების ღონისძიებანი. აღინიშნა, რომ საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, კლუბების, საავადმყოფოებისა და ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების საექსპლოატაციოდ გადაცემაში შეინიშნება სერიოზული ჩამორჩენა, რომლის დაძლევა მოითხოვს სამშენებლო ქვეგანაყოფების შრომითი კოლექტივების სრულ დარაზმვას, ყველა არსებული რეზერვის გამოყენებას, საბოლოო შედეგებისათვის პოთოეული მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებას. რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანოებს წინადადება მიეცათ სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო დავალებათა შესრულება მიიჩნიონ უპირველესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმედ და ამომწურავი ღონისძიებანი განხორციელონ მუშაობის ამ უბანზე საქმის ძირეული გაუმჯობესებისათვის. ამ საკითხზე მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „რესპუბლიკის საწარმოებსა და გაერთიანებებში საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესებისა ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის დარგების გარდაქმნას, მათი სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების, სამრეწველო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესების საფუძველზე. რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ უნდა დაძლიონ სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები საწარმოო ფონდების ფორმირებასა და გამოყენებაში, საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაში, სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითთანაზღაურებაზე გადასასვლელად საწარმოთა და ორგანიზაციათა მომზადებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა აღმოსავლეთ ციმბირის რკინიგზის ირკუტსკის მახარისხებელ დეპოში ექსპლოატირებული ელ-15 მაგისტრალური ელმავლების დაბალი ხარისხისა და კონსტრუქტორული ხარვეზების საკითხი. აღინიშნა, რომ ამ სერიის ზოგიერთი ელმავალი, რომლებიც ახალი ტიპის ლოკომოტივებია და მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით არა აქვთ საბჭოური და საზღვარგარეთული ანალოგები, მყარი ვერ გამოდგა ექსტრემალურ პირობებში ექსპლოატაციის დროს მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით კრიტიკა, რომელსაც შეიცავს 1987 წლის 24 აგვისტოს „გუდოკში“ გამოქვეყნებული სტატია „უძლური გოლიათები“, ძირითადად სწორად არის მიჩნეული. სხდომაზე აღინიშნა, რომ ლოკომოტივების მეთაური ნიმუშების დამზადების დაბალი ტექნიკური დონე იმის შედეგია, რომ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ აღმინისტრაციამ და პარტიულმა კომიტეტმა შეასუსტეს ყურადღება იმისადმი, რომ უზრუნველყონ მკაცრი ტექნოლოგიური დისციპლინა, აღმოფხვრან კონსტრუქტორული ხარვეზები, გაუუჯობესონ დეტალებისა და კვანძების დამზადების, მათი საგარანტიო მომსახურების ორგანიზაციის ხარისხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნშნა, რომ გაერთიანების სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელობას (ზ. დ. ჩივაძე, გ. გ. დოლიძე) არ გამოუტანია დროული დასკვნები კრიტიკიდან და ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა ცნო არადამაკმაყოფილებლად, დაავალა დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი ახალი სერიის ელმავლების წარმოებაში არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად.

სხდომაზე მკაცრი შეფასება მიეცა ახმეტის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობას კოოპერატივების შექმნის საკითხებში. აღინიშნა, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური საქმის შეუფასებლობას, უკონტროლობას სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები მოჰყვა კოოპერაციული მოძრაობის განვითარებაში, რამაც შექმნა სხვადასხვა ნეგატიური მოვლენის, გამომძალველობისა და მექრთამეობის პირობები. კერძოდ, კოოპერატივის შექმნის ნებართვის მიცემისათვის ქრთამის გამოძალვისას დაეკავეს ახმეტის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ო. ი. ნაცვლიშვილი. კოოპერატივების შექმნისა და ფუნქციონირების საქმეში დაშვებული უკონტროლობისათვის და ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმისაგან თვითგანრიდებისათვის ახმეტის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს გ. გ. ახმეტელს გამოეცხადა სიტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით და იგი განთავისუფლდა თანამდებობიდან. კოოპერატივების შექმნისათვის რაიაღმასკომის საქმიანობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის გამო პარტიის ახმეტის რაიკომის პირველ მდივანს თ. ი. მათიაშვილს გამოეცხადა საყვედური.

ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

სადირექტივო ორგანოების გაფიწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისადმი კონტროლის განხორციელების წესით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ვაჭრობის სისტემაში სამაცივრო მეურნეობის გამოყენების საკითხი და დასახა მალეფუჭდებადი პროდუქციის შენახვა-გადაზიდვისათვის სამაცივრო და რეფრიჟერატორულ ტევადობათა ექსპლოატაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

(დასასრული მე-2 გვ.).

გარდავქმნათ კულტურის ობიექტების მშენებლობისადმი დამოკიდებულება

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი კულტურისა და შემოქმედებითი კავშირების მატერიალური ბაზის განმტკიცების შესახებ.

მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნები, მინისტრები, შემოქმედებითი კავშირებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა აღნიშნა, რომ კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ჟურნალისტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბჭოთა საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. შემოქმედი ინტელიგენცია ისწრაფვის ღირსეული წვლილი შეიტანოს გარდაქმნის ყველა სფეროში, რომელსაც პარტია და ხალხი ახორციელებენ. მაგრამ ეს წვლილი შეიძლება იყოს და კიდეც უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი. ხელოვან ინტელიგენციას, შემოქმედებითს კავშირებსა და ორგანოზაციებს ნიადაგ უნდა ვუწევდეთ დახმარებას საქმიანობის პირობების გაუმჯობესებაში. არადა, ბევრგან, მათ შორის მოსკოვში, იმის გამო, რომ არ იგრძნობოდა ჯეროვანი ზრუნვა კულტურის მატერიალური ბაზისათვის, დიდი სინდელები წარმოიშვა მუშაობაში, საერთო მდგომარეობას დაღს ასვამს საჭირო შენობების უქონლობა, ზოგიერთი ნაგებობა სარეკონსტრუქციო და გასარემონტებელია.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილებანი, რომლებშიც განსაზღვრულია შემოქმედებითი კავშირების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და განვითარების, მათთვის საცხოვრებელი სახლების აშენების კონკრეტული ღონისძიებანი. დასახულია ქვეყანაში აიგოს 85 შენობა, აქედან 40 საკონცერტო და საფილარმონიო დარბაზი, აშენდეს ან რეკონსტრუირებულ იქნეს 25 შემოქმედების სახლი, მოსკოვში— მუსიკის სახლი, მსახიობის ცენტრალური სახლი, ჟურნალისტის ცენტრალური სახლი, სსრ კავშირის სმხატვრო აკადემიის შენობა, მთელ რიგ ქალაქებში — საგამოფენო დარბაზები, საწარმოო კომბინატები და სახელოსნოები.

მიღებული გადაწყვეტილებანი ფართოდ გამოქვეყნდა პრესაში, ისინი მოიწონეს კულტურის მოღვაწეებმა, მშრომელებმა. საერთოდ კულტურის მატერიალური ბაზის განვითარებისათვის კაპიტალური დაბანდების მოცულობა მიმდინარე ხუთწლედში წინა ხუთწლეულთან შედარებით ჩვენს ქვეყანაში ერთიორად გაიზარდა.

როგორ სრულდება დასახული? ი. კ. ლიგაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: იქ, სადაც პარტიული და საბჭოთა ორგანოები, უწყება-სამინისტროები, სამეურნეო ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები საქმეს პასუხისმგებლობის გრძნობითა და დაინტერესებით მიუდგნენ, და ესმით, რომ ეს შეესაბამება კულტურის, მშრომელების ინტერესებს, თვით რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების ინტერესებს, სიძნელეების მიუხედავად, სამუშაოები კარგი ტემპით წარმოებს, და გვჯერა, რომ დაგეგმილს დროულად განახორციელებენ. მან მაგალითად დასახელა ინიციატივიანი დამოკიდებულება ვილნიუსის საკონცერტო კომპლექსის მშენებლობის, ტულის სტამბის რეკონსტრუქციისადმი. მაგრამ შემოქმედებითი კავშირების ბევრ ობიექტში სამშენებლო სამუშაოთა ტემპი დაგეგმილზე ნაკლებია, ხოლო ბევრგან აშკარად არ კეთდება არაფერი, და ეს ხდება მას შემდეგ, რაც გაუქმდა კულტურის, დასვენების ობიექტების მშენებლობის აკრძალვები. ბევრი „ზოზინმშენია“ მოსკოვში, ლენინგრადის ოლქში, ყირიმში, საქართველოში, სომხეთში.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საკონცერტო და საფილარმონიო დარბაზების მშენებლობის საქმის მდგომარეობაც ქვეყანაში. მთელ რიგ დიდ ქალაქებში, საზოგადოებრიობის სურვილის შესაბამისად, გათვალისწინებულია აშენდეს ასეთი დარბაზები. იყო მთავრობის დავალება მათი მშენებლობა წელს დაეწყოთ და ამ ხუთწლედში დაემთავრებინათ. ამავე დროს, მაგალითად, ჩელიაბინსკში ჯერაც არ დაუწყიათ საკონცერტო დარბაზის დაპროექტება, ხოლო ყაზანში ვერა და ვერ იპოვეს მშენებლობის შესაფერისი ადგილი. ერთი წელი დაიკარგა.

თათბირზე გააკრიტიკეს არადამაკმაყოფილებელი დამოკიდებულება კლუბებისა და კულტურის სახლების მშენებლობისადმი, მეტადრე უკრაინაში, საქართველოში, რუსეთის ფედერაციაში (უწინარესად ფსკოვის, იაროსლავლის, ირკუტსკის ოლქებში, კრასნოდარის მხარეში, თათრეთის ასს რესპუბლიკაში). სსრ კავშირის არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის, საპროექტო ორგანიზაციების უურადღება მიეპყრო იმას, რომ კულტურის შენობების პროექტები უნდა იყოს თანამედროვე, ითვალისწინებდეს არქიტექტურასა და მშენებლობის მიღწევებს, სრულად შეესაბამებოდეს თავის ფუნქციურ დანიშნულებას, ამშვენებდეს ჩვენს ქვეყანას.

თათბირზე გამოვიდნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ვ. გ. ზახაროვი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ვ. კაჩურა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. დ. პისარევი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ს. ტუმანოვი, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ვ. უ. კარპოვი, სსრ კავშირის სატანსპორტო მშენებლობის მინისტრი ვ. ა. ბრეკნევი, სსრკ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ტ. ნ. ხრენიკოვი, სსრ კავშირის არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ე. გ. როზანოვი, რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრი ი. ს. მელნიტიევი, სსრკ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ა. პოდნმარიოვი. მათ თათბირის მონაწილეებს მოახსენეს, თუ რა კონკრეტული ღონისძიებანი ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესასრულებლად, იმ სიძნელეებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ჯერ კიდევ არის.

თათბირის დასასრულს ი. კ. ლიგაჩოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა ძირეულად შეიცვალოს დამოკიდებულება იმ ობიექტების კეთილმოწყობისადმი, რომლებიც განკუთვნილია შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების საქმიანობის პირობების გაუმჯობესებლად. კულტურის მშენებლობანი უნდა მივიჩნიოთ ასეთივე გადაუდებელ და უპირველეს ობიექტებად, როგორიც არის საცხოვრებელი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობა.

სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც შესაბამისი დავალებანი მიეცათ, მართებთ დაუყოვნებლივ, კონკრეტულად გაერკვნენ კულტურის ობიექტებში შემქმნელ საქმის ვითარებაში, გადაწყვიტონ მშენებლობათა დაფინანსებისა და დაპროექტების საკითხები, დააზუსტონ ვადები. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს იმ საკითხების განხილვა, თუ როგორ უზრუნველვყოთ დაგეგმილი ობიექტები საჭირო მოწყობილობით.

პარტიულმა კომიტეტებმა და საბჭოთა ორგანოებმა შეუნელებელი კონტროლი უნდა დაუწესონ დავალებათა შესრულებას ყველა ობიექტზე.

საჭიროა ყველგან სიტყვით კი არა, საქმით ვთქვათ უარი კულტურის ობიექტების დაგეგმვასა და მშენებლობაში „ნარჩენების პრინციპზე“, დროულად, თანაც მაღალხარისხოვნად შეასრულოთ დასახული გეგმები, განუხრელად ვზარდოთ სოციალური სფეროს თანამედროვე ბაზა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარე ი. პ. ბატალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ა. გ. მელნიკოვი, ი. ა. სკლიაროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ე. ვ. ზაიცევი.

(საკდესი)..

საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებს

მოგესალმებით მოსკოვის საერთაშორისო კოსმოსური ფორუმის მონაწილეებს. თქვენ შეიკრიბენით საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრებისა და მუშების შთაგონებული და დაძაბული შრომით შექმნილი დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების 30 წლისთავის აღსანიშნავად.

პირველი თანამგზავრის გაშვება გახდა ცივილიზაციის განვითარების თვისებრივად ახალი საფეხური და მთელ კაცობრიობას აქამდე უცნობი შესაძლებლობანი გადაუშალა.

კოსმოსური ორბიტებისათვის არ არსებობს სახელმწიფო საზღვრების ცნება. თავისი ბუნებით კოსმოსური საქმიანობა განკუთვნილია საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, რომელიც მოწოდებულია გამოიყენოს კოსმოსური სივრცის თვისებები, რათა წარმატებით წყვეტდეს ბევრ გლობალურ პრობლემას ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის ინტერესებისათვის.

კოსმოსური სივრცის კვლევა და გამოყენება სულ უფრო მეტად ხდება საკაცობრიო კუთვნილება. ჩვენი ხალხი, ისევე როგორც სხვა ხალხები, მიესალმა იური გაგარინის ფრენას, რომელმაც დასაბამი მისცა ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისებას, მიესალმა ნეილ არმსტრონგს, რომელმაც პირველმა შეადგა ფეხი მთვარეზე.

საბჭოთა კავშირი აქტიურად იღწვნის კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის. ასეთი თანამშრომლობის წარმატებული მაგალითია პროექტი „ვეგა“, „სალუტ“ და „მირ“ ორბიტულ სადგურებში მომუშავე საერთაშორისო ეკიპაჟები. ჩვენ წინაადმდეგი ვართ იმისა, რომ კოსმოსი გამლეტელი შეიარაღების ახალ ასპარეზად გადაიქცეს.

ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ კოსმოსური სივრცის ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობის სტრუქტურების, მათ შორის ისეთი მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის ჩამოყალიბების ყოველმხრივი ხელშეწყობის კურსს, რომელიც პერსპექტივაში შეძლებდა ემუშავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირით, როგორც მისი სისტემის ავტონომიურ ნაწილს. ვიმედოვნებ, თქვენი ფორუმი საგრძნობ წვლილს შეიტანს ამ კეთილშობილურ საქმეს.

ამჟამად, ჩვენი აზრით, მომწიფდა პირობები და მოთხოვნილება იმისათვის, რომ საერთაშორისო თანამშრომლობაში გადავიდეთ თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე, რომელიც შეესაბამება ჩვენი ცივილიზაციის მზარდ ურთიერთდამოკიდებულებასა და მთლიანობას.

ამ უნიკალური, შესაძლოა, გალაქტიკაში ერთადერთი ცივილიზაციის შესანარჩუნებლად უწინარეს ყოვლისა საჭიროა დავამკვიდროთ მშვიდობა ჩვენს პლანეტაზე. თქვენი ფორუმის დევიზი „ვითანამშრომლოთ კოსმოსში ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად“ სწორედ იმას მოწმობს, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა კოსმოსში შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს კიდეც ხიდი სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების განსამტკიცებლად, ამას კი მოჰყვება გლობალური ომის საბედისწერო საფრთხის შემცირება.

მინდა, წარმატება ვუსურვო თქვენს შეხვედრას, რომელსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს არა მარტო ერთობლივი კოსმოსური პროგრამების გაფართოება, არამედ აგრეთვე ქვეყნად პოლიტიკური ვითარების გაუჯობესებაც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი.

საბჭოები

პირადი მაგალითის ძალა

ჩემმა თანასოფლელებმა ზედიზედ შვიდჯერ ამირჩიეს მერჯევის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს დეპუტატად და ამჟამად რაიონული საბჭოს დეპუტატი ვარ. საბჭოებში მუშაობის კარგი გამოცდილება დამიგროვდა. დავრწმუნდი, დეპუტატმა რომ ამომრჩეველთა იმედები გაამართლოს და მათი ნამდვილი მსახური იყოს, დიდი მნიშვნელობა აქვს მის პირად მაგალითს, იმას, თუ რას ქმნის იგი საზოგადოებისათვის. თუ ენერგიულად შრომობ გაპიროვნებულ უბანზე, მაშინ შენ სიტყვას მეტი ფასი აქვს, დაგიჯერებენ და გამოგყვებიან.

პირადად მე სათავეში ვუდგავარ უგანრიგო ბრიგადას, რომელიც პირველი შეიქმნა რაიონში. ყოველწლიურად მოგვყავს ყურძნის, მარცვლეულის, საკვებ კულტურების უხვი მოსავალი. შრომა გვარიანად გვინაზღაურდება. ბრიგადის წევრთა ხელფასი ორჯერ, ორ-ნახევარჯერ მეტია, ვიდრე იჯარაზე გადასვლამდე იყო.

ჩემთან ხშირად მოდიან ამომრჩევლები და აყენებენ საჭიროროტო საკითხებს. მეც გულდასმით ვესაუბრები მათ და შეძლებისდაგვარად ვპირდები დახმარებას, საკითხს ვაყენებ რაიონულ ორგანოებში, სადაც მუდამ თანაგრძნობით მეკიდებიან. სწორედ ასე კეთილმოვაწყვეთ სოფელ მერჯევის შიდა გზები, გადავწყვიტეთ მრავალი მეზობლური დავა, რეკონსტრუირებული და გაფართოებულია მერჯევის სამაშვრო ბაღი, დაწყებითი სკოლა, საშუალო სკოლას მიეშენენთ სასადილო და კინოდარბაზი, ადგილობრივი მინერალური წყლის ბაზაზე ავაგეთ სამკურნალო აბანო, სადაც საბჭოთა მეურნეობის მუშები მკურნალობენ...

მაგრამ პრობლემები კვლავაც ბევრი გვაქვს, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ჰიგიენური აბანოს გახსნა, რაც აუცილებელია თანამედროვე სოფლისათვის, მეტი წესრიგი უნდა დავამყაროთ საკვაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. დეპუტატებმა უფრო უნდა გავაქტიუროთ მუშაობა სოფლად საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და შრომაში სოფლის ყველა მშრომელის ჩაბმისათვის.

ადგილობრივი საბჭოების, აღმასკომების თავმჯდომარეების რესპუბლიკური კრება უფრო გულდასმით განიხილავს ამ პრობლემების გადაჭრის გზებს. იგი ჩვენი სამომქმედო პროგრამა იქნება.

ც. დეკანოიძე,
საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, რაიონული საბჭოს დეპუტატი.

რესპუბლიკური კრების წინ

ბოსტოსი და კაცობრიობა

ბიბლიოთეკა

სამყაროს უკიდეგანო სივრცეების კვლევასა და ათვისებაში დიდი მიღწევები ჩვენი ქვეყნის ისტორიის მკაფიო, შთამბეჭდავი ფურცელია, ქვეყნისა, რომელიც ეგებება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს. ორბიტაზე გაფეანილი პირველი საფრენი აპარატიდან უნიკალურ „მირ“ კომპლექსამდე, რომელშიც ახლა ვარსკვლავურ ვახტზე დგას საბჭოთა ეკიპაჟი, — ასეთია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიერ კოსმოსში განვლილი გზა.

სამი ათწლეული გავიდა მსოფლიოში პირველი დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვებიდან. ამ ღირსშესანიშნავმა მოვლენამ დასაბამი მისცა შეუცნობელი კოსმოსური სივრცეების ათვისებას, ფართო გზა გაუხსნა კაცობრიობის პროგრესის ინტერესებისათვის დიდი მასშტაბის ერთობლივი ინტერნაციონალური პროგრამების განხორციელებას.

ეს ითქვა „თანამშრომლობა კოსმოსში ქვეყნად მშვიდობისათვის“ საერთაშორისო ფორუმის გახსნაზე, რომელმაც 2 ოქტომბერს დაიწყო მუშაობა მოსკოვში. ამ წარმომადგენლობითს შეხვედრაში მონაწილეობს ექვსასზე მეტი საბჭოთა და საზღვარგარეთელი სპეციალისტი.

ფორუმის გახსნისას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა რ. ზ. საგდეევმა თქვა, რომ სამი ათწლეულის წინათ კაცობრიობამ შეძლო სამყაროს პულსის გასინჯვა. დღეს, აღნიშნა მან, იმისათვის შევაკრიბეთ აქ, რომ შევაჯამოთ გაწეული მუშაობის შედეგები, ვიფიქროთ იმაზე, თუ რის გაკეთება შეგვიძლია ერთად მშვიდობიან კოსმოსში.

საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებს მისასალმებელი წერილი გაუგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა. დოკუმენტი წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ი. მარჩუკმ. მან აღნიშნა, რომ პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა ცივილიზაციის განვითარებაში. კოსმოსის ათვისებისათვის შემდგომი საქმიანობის დიდი ნიშანსვეტები იყო იური გაგარინის გაფრენა, ამერიკელი ასტრონავტების გადასხმა მთვარის ზედაპირზე, კვლევითი აპარატების ფრენა ვენერას, მარსის, იუპიტერისაკენ და მფილი რიგი სხვა მოვლენები. ახლანდელ ეტაპზე ამ საქმიანობაში ათობით ქვეყანა ეგმება.

ფორუმი მუშაობას განაგრძობს.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, რომელმაც განიხილა ბოლნისის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოების მიერ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, აღნიშნა, რომ გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად, მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ გამოირჩევა სათანადო ეფექტიანობით. რაიონში არ წარმოებს მიზანმიმართული მუშაობა ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად შრომითი კოლექტივების დარაზმვისათვის, შემცირებულია ფხიზელი ცხოვრების წესის პროპაგანდისათვის გამიზნული იდეოლოგიური, აღმზრდელობითი ღონისძიებების ეფექტიანობა.

ცხო რა ამ მიმართულებით პარტიული, საბჭოთა, აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობა არასაკმარისად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაავალა საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომს მკაცრად, პარტიულად მოჰკითხოს იმ პირთ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით საშიში სოციალური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებაში, დასახოს და განახორციელოს ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის ი. დ. გოგოლაძის ინფორმაცია თბილისის 1-ლი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა რა დამხმარე სათავსების მშენებლობის პროექტების შემუშავების, საწარმოო საამქროების სხვა ბაზაზე გადატანის დაუშვებლად ნელი ტემპი, რამაც გავლენა მოახდინა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების გრაფიკის ჩამორჩენაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ წინადადება მისცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო და ლენინის რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუდმივი კონტროლი დაუწესონ საწარმოს რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების სამუშაოთა მიმდინარეობასა და ხარისხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა აქტუალურ საკითხებზეც.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი □ მოვლენა □ კომენატრი

მიეძღვნა სახალხო მასწავლებელს

იყოს სინდისის, შრომისმოყვარეობის, იდეურობის ეტალონი, ღირსეული ზნეობრივი ნიმუში თაეისი აღსაზრდელებისათვის — ამას მოითხოვს დღეს დრო საბჭოთა მასწავლებლისაგან. იმათ, ვინც თავისი ცხოვრების საქმედ აირჩია მოზარდი თაობის აღზრდა, მიეძღვნა სხდომა, რომელიც 2 ოქტომბერს გაიმართა მოსკოვში, სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში.

ნამდვილად საქმიანი გახადეს ეს საზეიმო საღამო დედაქალაქის მასწავლებლებმა, რომლებმაც განიხილეს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნის პირობებში სკოლის წინაშე მდგომი აქტუალური საკითხები.

სხდომას დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი.

• • •

მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გუშინ გაიმართა თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში.

სხდომას დაესწრო საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე.

კონტაქტები

სტუმარი ნიკარაგუადან

„კომუნისტის“ რედაქციას ესტუმრა სანდინისტური ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პროპაგანდის განყოფილების სოციალისტური ქვეყნების სექტორის გამგე მარგარიტა სპატა. იგი საბჭოთა კავშირში იმყოფება ახალი ამბების სააგენტოს მოწვევით. ნიკარაგუელი რევოლუციონერი ქალი წერს წიგნს საბჭოთა კავშირის შესახებ, იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესი ჩვენს ქვეყანაში, როგორ აშუქებს მას საბჭოთა პრესა.

სტუმარს გააცნეს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ორგანოების პრაქტიკა, ის საქმიანობა, რომელსაც საქართველოს ჟურნალისტები ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, აგრეთვე, განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები.

ერთად ვიფიქროთ, ერთად განვსაჯოთ

საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინოს!

რედაქციაში თითქმის ყოველდღე მოდის შემოქმედებითი კავშირების, სამინისტროებისა თუ უწყებების, სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ დაწესებულების ხელმძღვანელთა ოფიციალური წერილები, რომლებშიც გვთხოვენ ღირსეულად აღვნიშნოთ მავანისა და მავანის იუბილე. ამ ფაქტში თითქოს გასაკვირი არაფერია. კოლეგებს უნდათ თბილი სიტყვა უთხრან, დაიფასონ მეგობრის ღვაწლი, შეაჯამონ დროის გარკვეული მონაკვეთზე მისი საქმიანობა. გასაკვირი სხვა რამ არის. ხშირად, ძალიან ხშირად ითხოვენ რესპუბლიკური მასშტაბით იუბილე გადაუხადონ ისეთ მუშაკებს, რომელთა ღვაწლის ასე აღნიშვნა არაფრით არ არის გამართლებული. როცა ამ ცოტა ხნის წინათ მისი ოფიციალური თხოვნის პასუხად ერთ-ერთი შემოქმედებითი კავშირის თავკაცს მორიდებით შეკადრეთ ჩვენი ეჭვი, ღირს კი რესპუბლიკური გაზეთის მთელი გვერდი დაუთმოთ ნიჭით და დამსახურებით არცთუ ისე გამორჩეულ კაცს-თქო, არამცთუ უმალვე დაგვეთანხმა, თვითონაც გამოთქვა ეჭვი, რა საჭიროა მისი ასეთი გამორჩევაო. ხოლო როცა შევახსენეთ მისივე ხელმოწერილი ოფიციალური თხოვნა-ნერი, სიცილით გვითხრა, მასეთ დოკუმენტს დღეში რამდენიმეს ვაწერ ხელს, ძნელია, კაცი მოდის, მთხოვს — მიშუამდგომლეთ საიუბილეო წერილის გამოსაჭვეყნებლად, არიქა, არ დაავიწყეთ ჩემი დამსახურების აღნიშვნა, და უარი როგორ ვუთხრაო. თითქოს ამ ფაქტს კომენტარი არ უნდა ჰქონდეთ. მაგრამ არც უმაგისობა იქნება, მით უმეტეს, ასეთი პოზიცია და ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, მეტისმეტად მომრავლდა.

რა მოგვდის, რა გვემარება?! უპრინციპობის ეტალონური მაგალითია ყოველივე ეს. ზნეობრივი ღირებულებების გადაფასების, მათი დევალვაციის შედეგია.

არარეფორმული თქმულა ეს საჯაროდ, ყველას გასაგონად, მაღალი ტრიბუნიდან თუ შემოქმედებითი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავყრილობებზე. ითქვა პრესაში, ტელევიზიით. არ დაპკლებია ამ პრობლემის გაშუქებას არცა პათოსი და არც ტკივილნარევი ტონი. „კომუნისტმა“ თავის დროზე ფელეტონებიც მიუძღვნა იუბილეებისა და ჯილდოპრემიების დაუფარავად მაძიებელთ.

მაინც არ წყდება მთხოვნელთა ნაკადი. შეტევა, მოთხოვნა, პროტესტი, ულტიმატუმი, წყენა, გაბუტვა, საჩივარი, ქილიკი...

ეგებ ამიტომაც ღირდეს ამ საკითხზე ყურადღების შეჩერება „კომუნისტის“ მკითხველთან. ჩვენს საზოგადოებრიობასთან მოთათბირება. მით უმეტეს, ფონია მიმზიდველი, მრავალსმეტყველი და დიდად მნიშვნელოვანი. აგერ, კარს მოგვდგომია დიდი ოქტომბრის იუბილე, რომელსაც ვდღესასწაულობთ გარდაქმნის, მთელი ქვეყნის ცხოვრებაში ძირეული ცვლილებების პერიოდში, დემოკრატიზმისა და საჯაროობის პირობებში. ამ სტატიკვარზე საუბარი ასევე უპრიანია ამ დღეებში, როცა აღინიშნება ჩვენი ხალხის ეროვნული სიამაყის — დიდი ილიას დაბადების 150 წლისთავი, კაცისა, რომელსაც ეკუთვნის გულწრფელი სტრიქონები: „ჩემო კალამო, ჩემო კარო, რად გვინდა ტაში“. ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ილიას — ერის სატკივარს სისხლხორცეულად გადაგებულს, სიტყვით და საქმით მისთვის შეწირულს სანაცვლოდ არც ტაში, არც გამორჩეული ყურადღება არასოდეს მოუთხოვია, მით უმეტეს, თავისი ღვაწლის ზარზეიმით აღნიშვნა ერის გულის ფიქრადაც არ მოსვლია. მაგრამ ერმა და ბერმა ღირსეულ შვილს მაინც რჩეულთა ხვედრი პატივი მიაგო, საქართველოს მამად და წინამძღვრად აღიარა, წმინდანად შერაცხა, სამაგალითოდ გაიხადა მისეული მამულიშვილობა და კაცურკაცობა, სიმტკიცე და თავდადება, კონკრეტული საქვეყნო საქმეებით განმტკიცებული სამშობლოს სიყვარული.

რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ, ვისი სახელიც ერს საფიცრად გადაუქცევია.

ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ ხალხი, საზოგადოება უმადური არ-ოდეს ყოფილან თავის გამორჩეულ შვილთა მიმართ, ყოველთვის ხედავდნენ და ხედავენ მათს ღვაწლს, თავდადებას, შშობელი ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად დაღვრილ სისხლსა და ოფლს. მაგრამ, ალბათ, სათქმელი სხვა რამეც არის, თვითკრიტიკულად, თვითგანსასჯელად. ისიც ხომ დიდი უსამართლობაა, როცა საქვეყნო საქმეში გაჯაღარავებული და ღვაწლდებული მეცნიერი, ხელოვანი, ხურო, გუთნისდედა თ სპორტსმენი ისე შეუდგება წელთა დაღმართს, რომ ვერ იგრძნობს იმ სითბოსა და სიყვარულს, მარილაც რომ დაიმსახურა. ასეთი შემთხვევები წინათაც და, სამწ ხაროდ, ახლაც არაერთი გვქონია. თუმცა, როგორც ნათქვამია, სანთელ-საკმეველი გზას არასოდეს კარგავს, და ხალხი, საზოგადოება, იქნებ დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჯეროვნად მიაგებენ ხოლმე თავის ღირსეულ შვილთ. ასე ეფინება პატივისცემის ნათელი გაუგებრობის გამო, შემთხვევით თუ საგანგებო მივიწყებულ მამულიშვილთა ხსოვნას. დღეს განსაკუთრებით იგრძნობა ეს სულისკვეთება. ისტორიული სამართლე, ობიექტურობა მეტ-ნაკლებად მაინც იკაფავს გზას. ყველაფერს დრო სჭირდება. დრო, ისტორია ყველას მაინც მიუჩენს კუთვნილ ადგილს.

მაგრამ არის მეორე უკიდურესობაც, არანაკლებ მავნე და სამარცხვინო, განსათლელად, კულტურულ ხალხს რომ არ შეშვენის და მეშჩანობისა და პროვინციალიზმის აშკარა გამოვლინებაა. სწორედ ეს არის ჩვენი საუბრის მთავარი თემა, დამაფიქრებელი, სათქმელი, განსასჯელი. მეტისმეტად მომრავლდა ამ ბოლო დროს ზეიმები, იუბილეები, ყოველგვარ ზეიმერებას გადასცდა ჰომპეზურობა. კვირა არ გავ ის, რომ სხვადასხვა დონეზე არ შეიქმნას საიუბილეო კომისიები, ბჭობენ, ეძებენ, ეძებენ ... ...

მე გამარჯვება დამაბრუნებს თქვენთან, სწორებთან

გუშინ თიანეთში იუბილეს მირზა გელოვანის დაბადების 70 წლისთავი.

არ მახსოვს, პირველად ვინ მიჩვენა ყავისფერყდიანი წიგნაკი, ლექსების კრებული, რომელსაც ავტორის სურათიც ჰქონდა დართული. პირშიშველა მოყმეს მაზარა ეცვა, ბუდიონურა ეხურა და ოდნავ თავგადაწეული, უჯიათი მზერით იყურებოდა. მაშინ ომი ახალი დამთავრებული იყო, და ამ კრებულიდან თითქოს აშკარად მოისმოდა ბომბების სკდომის ხმა, ტანკების გრუხუნი, ქვემეხების ბათქი, მხედართა ყიჟინი... იგრძნობოდა აგრეთვე დაუსრულებელი ნაღველი ყოველივე იმის გამო, რაც დარჩა იქ, შორს, საქართველოს უტკბილეს მიწაზე. განსაცვიფრებლად ნამდვილი, გულწრფელი, რაინდული, საგნობრივად კონკრეტული ხილვები გამოკრთოდა ამ ლექსებიდან, და ამიტომაც იყო, რომ მათი ავტორი მაშინვე განუყოფლად დაგვიმეგობრდა ყველას. იგი ნამდვილი პოეტი გახლდათ, ისეთი პოეტი, რომელიც არასოდეს ჰკარგავდა რაინდულ „სიმაღლეს თვისას“.

ყველანი, ვინც კი იცნობდა მირზა გელოვანს, ერთხმად აღნიშნავენ: მისი ხასიათის მთავარი თვისება თანდაყოლილი რაინდობა იყო. მთათა მომლახველი, მიზანდაუმცდარი მონადირე და მოცურავე, ჭირთამომენი, ნიფათის მაძიებელი, განსაცდელში ჩავარდნილი მოყვასისათვის ბელის გამწვდენი, მოკრძალებული, მაგრამ უკომპრომისო, კაი მეფანდურე, მომღერალი და მომლხენი... ბოლოს, ჩინებული ლექსების მწერალი — ასეთი იყო მირზა გელოვანი...

• • •

ომის ადრეულ შემოქმედებაში (1933-1936 წლები) ამკარად საუბრობს ლექსები სიყვარულზე, მაგრამ არის რამდენიმე ლექსი, განსხვავებული თემატიკით რომ იქცევს ყურადღებას. აი ერთი ესსათაური მინიატიურა: **„მცივა, მუხლი მეკეცება, ვიღაც მარმარეს დევის ძალას, ვაი, ლიბო დამინგრიეს, დამამგვანეს ნარიყალას, მეტად მწარედ გული მტკივა, მაურულის და ტანში მზარავს“.** საგულისხმოა, რომ 17 წლის ჭაბუას უკვე გათავისებული ჰქონია გურამიშვილის შემოქმედება. ინტერესს იწვევს, აგრეთვე, ლექსი „ვაჟას კრიალოსანი“. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეგრეთ წოდებული ვაჟას თემა განუშორებელია მირზას მთელი პოეზიისათვის. „ვაჟას კრიალოსანი“ ამ ციკლის ერთგვარი დასაწყისია. **„სახლის წინ, ქვაზე, ფიქრებისაგან დაბნამძიმები ვაჟა-ფშაველა სიზმარივით მომელანდება“...** ეს სტრიქონები იმის დასტურად გამოდგება, რომ ვაჟა მართლაც ორგანულად არის შენივთებული მირზას პოეტურ ფიქრებს. აქვეა მოსახსენებელი ის ლექსი, რომელიც მირზა გელოვანის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ლექსად შეიძლება ჩაითვალოს — „ბულსსმბა „თეთრი მიწა“. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მისი წაკითხვის შემდეგ აღიძვრება, არის სისპეტაკის, ბავშვეულობლობის, პირველქმნილი უბიწობის განცდა. აგრეთვე: „რაინდული დარბაისლობით დაურვებული, ღრმად შეფარული ტრაგიკა. გარდა ამისა, აქ ისეთივე სისადავეა მიღწეული, რაც მხოლოდ მაღალ პოეზიას ახასიათებს და რასაც მხოლოდ დადგენილი პოეტები ახერხებენ. პოეზიის ნამდვილი შედეგრება „მწყემსის მუქარა“ და ბალადა „აონ“, გასაოცარი პოეტური შეუალობით რომ უამბობს მკითხველს რწმენადამსჭვრეული ადამიანის ტრაგიკული ბედის ამბავს. „აონ“ დიდი გამარჯვება იყო ახალგაზრდა პოეტისა, იგი ადეკვატურად და მხატვრულად დროის უაღრესად აქტუალურ, მტკივნეულ პრობლემას ეხმიანებოდა. ამ ბალადა რადიანი იგონებს: **„ბაბაეტიონს მოსწონდა რამდენიმე ახალგაზრდა პოეტი, კერძოდ, მირზა გელოვანი. „მირზა გელოვანი ნიჭიერი ახალგაზრდაა, — თქვამს ხშირად, — მისგან ნამდვილი პოეტი დადგება“.**

1939 წლის აპრილი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მირზა გელოვანისათვის. ჯერ იყო და, მწვანალთა კავშირის წევრად მიიღეს, მერმე კიდევ „ჩვენი თაობის“ № 4-ში ვრცელი პოემა „შავნაბადა“ გამოქვეყნდა და, ბოლოს, მწერალთა სასახლის ალუმში გაიმართა მისი შემოქმედებითი საღამო. შემონახულია ანატანგ ბეწუკელის პატარა მონაცემები: „ამ ლიტერატურულმა საღამომ ნათელყო, თუ რა დიდი სიყვარული მოიპოვებინა ადგილი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას სულ რაღაც სამოიდე წლის მანძილზე ამ ეროვნული შორის. მირზამ რამდენიმე ლექსი და ბალადა „აონ“ წაიკითხა. იგი ლექსებს ასე შთაგონებით კითხულობდა, ეს ამშენელი პირველი წუთიდანვე ადამიანურად ულგანაბული უსმენდა ხოლმე“. ამავე წლის სექტემბერში საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე ყრილობა გაიმართა. ამ ყრილობაზე მირზა გელოვანი ფრაცელი დასაბუთებული სიტყვით გამოვიდა. ყველა ნიშნის მიხედვით ჩანს, რომ ლიტერატურაში მოსული ახალგაზრდობის ერთ, ნიჭიერ ნაწილს მოჰქონდა პოეზიის პომპეზურ-ემოციურობა და გადაწყვეტეს მირზას პირით საჯაროდ განეცხადებინათ ეს. გამორიცხული არ არის, რომ სიტყვა, ერთგვარად, კოლექტიური აზრის ნაყოფი იყოს და ამდენად იგი, თუ შეიძლება ითქვას, მანიფესტის ანიშნველობას იძენს: არ არსებობს უმცროსი და უფროსი თაობების ლიტერატურა, არსებობს ეროვნული ლიტერატურა, რომელსაც თანაბრად ქმნიან ყველა თაობის წარმომადგენლები! აი თეზისები ამ ეგრეთ წოდებული „მანიფესტისა“.

ამის შემდეგ მირზა მალე ჯარში გაიწვიეს.

„ყველა მოკლე და ქერა ომის ხასიათ გამახსენდება ომები — ბოლტები. როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა, მაინც მივდივარ მაინც გშორდები“... ეს გახლდათ პოეტის უკანასკნელი ლექსი, დაწერილი საქართველოში. „როგორ არ მინდა; როგორ არ მინდა, მაინც მივდივარ, მაინც გშორდები“... ეს მთელი ეპოპეაა, მთელი თაობის ბედი და განწირული სულის კიკვილია.

• • •

ძვირფასო მშობლებო, დებო! ომი დაიწყო, დიდი ხანია ველოდი, რომ დაიწყებოდა, ვგრძნობდი. თქვენც ალბათ ასევე — ოღონდ განსხვავება იმაშია, რომ თქვენ გეშინიათ ჩემი დაკარგვისა. ჩვენ არაფრისა გვეშინია, ოღონდ თქვენ ნუ დაგვიღონდებით, და მე მინდა ისე უყურებდეთ ამ ომს, როგორც მე ვუცქერი: უშიშრად, უმწუხაროდ. გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ მე სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას. დე თქვენ ნუ შეგრცხვებათ, რომ თქვენი სისხლი და ხორცი ვარ! მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში მთელი ადამიანის მოუღლელი სისხლია. ჩემში ცოტნე დადიანის სულია და ნებისყოფა და თქვენ შეგიძლიათ ამაყად სთქვათ, რომ მე ვიცავ ჩემს სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი... მე მწამს გამარჯვება და სიცოცხლე!

1941 წ. ივნისი.

ასეთია ფრონტიდან გამოგზავნილი პირველი წერილი მცირედი შემოკლებით და აქედანვე იწყება ფრონტული პოეზია, „ომის ლირიკა“, როგორც მან შემდეგში უწოდა მოხდენილად. დანგრეული, მიწასთან გასწორებული სოფლები და ქალაქები, გადამწვარი ყანები, ძირფესვიან გადათხრილი ტყეები და გვამები, გვამები, გვამები... ყოველივე ამას საკუთარი თვალით ხედავდა მირზა. და პირველი განცდა, რომელიც ეუფლებოდა, ალბათ, უსაშველო, გამაოგნებელი გაოცება იყო — აი, თურმე რა შეძლებია ადამიანს! იყო წუთები როცა ეგონა — ჭკუაზე ვირყეევი. ასეთ დროს ისევ ლექსი იყო ერთადერთი ხსნა. **„იწყება შუქი, იწყება წყეულა, თავდავიწყება არსად იწყება! მე მავიწყდება წარსული ყველა“...** არა, არ იყო ეს მართალი! წარსული დავიწყება არ შეეძლო მირზას. ყოველთვის თვალწინ ედგა ძვირფასი, შორეული სახეები და მათთან საუბარი ლექსში ასეთ სახეს ღებულობდა. **„ჩემს მიწურ ქოხში შემოდის სხივი და კუთხეებში აყენებს ჩრდილებს. და ჩემი გულის განწირულ ყივილს თავისებურად ხმას აუჩენენებს. ო, რათქმა უნდა, შენმა ოცნებამ არ შეუძლია წარმოიდგინოს, — მაქვს მინდიასბრ ბრძენის მოთმენა, სისხლის ღამე და სისხლის ლოგინი“...** ამ ბრწყინვალე ლექსის ბოლოში მიწერილი აქვს: „1941 წ. სანგარში“. და ერთგვარი შესავალია, უვერტიურაა პოეტის ფრონტული ლექსებისა, რომლებიც ჭეშმარიტად გვანცვიფრებს აღქმის ტრაგიზმით, ვაჟაკაცური შემართებით, ხილვათა კონკრეტულობით.

1942 წელი სულ რაღაც ექვსიოდე ლექსით აღინიშნება მის შემოქმედებაში და ექვსვეეს თარიღს ქვემოთ აწერია მრისხანე სიტყვა: „ფრონტი“... ფრონტი... ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს ყოველწუთიერად სიკვდილთან შეყრის მოლოდინს! ხოლო რით შეიძლება სიკვდილი დათრგუნოს კაცმა? ეს უკვე იცის მირზამ: სიკვდილის შიშის დათრგუნვით დაიბადება ლექსი, მართლაც რომ საკვირველი თავისი ტრაგიზმითა და სტოიციზმით: **„შენ ნახე, როგორ იწყოდა ზეცა გაუგონარი, მღვრიე დაწვითა. შენ გახსოვს, ტყვია შენ როგორ აგცდა და ამხანაგის გულში გაცივდა“...**

1943 წელი უჩვეულოდ ნაყოფიერია მირზასათვის. ჩვენ ხელთა გვაქვს 14 ლექსი, რომლებიც, გარდა იმისა, რომ თავისთავად წარმოადგენენ მაღალი პოეზიის ნიმუშებს, პირველხარისხოვანი ღირებულება ენიჭებათ პოეტის სულიერი ბიოგრაფიის შესწავლისათვის. „გიგზავნი ხუთ ლექსს. რა თქმა უნდა, არა მაქვს დრო და შესაძლებლობა, მივცე ამ ლექსებს ის სახე, რომელიც მჭონდა განზრახული მათი დაწყებისას, მაგრამ მე მეიმედება, რომ მკითხველი გაიგებს გრძნობას, რომელმაც დამაწერინა ისინი. მანდ თუ არის პირობები ამისათვის, მინდა გამოვცე ლექსების პატარა წიგნი „ომის ლირიკა“, სადაც ეს ლექსებიც შევლენ. დანარჩენთ გამოგიგზავნი“, — წერს დას, რუსუდანს.

„ომის ლირიკა“... ძნელია უფრო ზუსტი სათაურის მოძებნა. ლექსების იმ ციკლისათვის, რომლებიც უშუალოდ ფრონტზე დაიწერა.

როგორც წერილებიდან ჩანს, პოეზიაზე, საერთოდ ლიტერატურაზე ფიქრი განსაკუთრებით მისძალებია ბოლო ხანებში. ეტყობა, ქვეცნობიერად გრძნობდა დასასრულის მოახლოებას და წუხდა, ბორგავდა, ნამდვილს, სამუდამოს ვერაფერს ეტოვებო ამქვეყნად. **„რამდენი ხანია, ლექსი არ დამიწერია. ომი ჰკლავს ჩემში ლექსების მწერალს, მაგრამ ზრდის პოეტს“.** — იწერება ერთ წერილში. უცნაურია, თავისი საბრძოლო საქმეების აღსაწერად ორიოდე სიტყვასაც ვერ იმეტებს, სამაგიეროდ, გამუდმებულად ლაპარაკობს პოეზიაზე. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ომი მასში კლავდა ლექსების მწერალს, მაგრამ ზრდიდა პოეტს. მწიფდებოდა რაღაც დიდი, მნიშვნელოვანი, ჭეშმარიტი. უნდა დამდგარიყო ჟამი, როცა ყველა ურთულეს კითხვასა და პრობლემას ანალიტიკოსის სიმშვიდითა და სიღრმით გაეცემოდა ჯეროვანი პასუხი.

საბედისწერო განშორება... ეს ტრაგიკული თემა ხშირად იჩენს თავს ფრონტულ ლექსებში და განსაკუთრებით იმ ლექსებშია საგულვებელი, რომელთა ადრესატადაც ქალი იგულისხმება. აქ ზედმიწევნით კარგად ჩანს მათი ავტორი: ჭირთამომენი, ელეგანტური, რაინდულად ამაღლებული... **„მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები, მე შენი თმები დამაბრუნებენ“,** — წერდა იგი თბილისიდან გამგზავრებისას, მაგრამ გაიარა დრომ და: „თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ, დანაშაული არდაბრუნების“. ან: „ჩვენ განვშორდებით, შეხვედრის ჟამი დარჩება, როგორც თეთრი ზღაპარი“:... ანდა: „მეთხოვებოდა ჩემი თბილისი, ჩემი მიჯნურიც ცრემლით დამშორდა“... კიდევ: „არდაბრუნება არ მეძნელება, უფრო ძნელია თქვენზე წუხილი“... კითხულობ გასაოცარ ლექსს „ნუ მწერ“ და სულში თითქო მზე გაშუქებს. ეს არის ლექსი, რომლის ბადალი არც ისე ბევრია უახლეს ქართულ პოეზიაში. **„ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში, რომ მთაწმინდაზე მზე დაწვა თითქოს“...** არის ამ ლექსში ერთი გასაოცარი სტრიქონი: **„რომ მტკვარი ოხრავს როგორც ყოველთვის, როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის“...**

„ნამდვილი შემოქმედი იცნობა არა ხმით, არამედ განსაკუთრებული სმენითაც, იმ უცნაური ნიჭით, რომელიც მას საშუალებას აძლევს სამყაროს ურიცხვ ხმათა შორის შენიშნოს ჩვენთვის შეუმჩნეველი, უცნობი ხმებიც. მხოლოდ ნამდვილი პოეტის გაფაქიზებულ სმენას შეეძლო გაეგონა ეს საოცარი, მარადიული ხმა. რამდენი საგულისხმო რამ არის ნათქვამი ამ უბრალო სიტყვებით, რა სადად, რა დაუმადლებლად, ბუნებრივად და, ამავე დროს, რა ზუსტად: „რომ მტკვარი ოხრავს როგორც ყოველთვის, როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის“. მირზა გელოვანის მიერ აღმოჩენილი ეს იდუმალი ხმა ქართული პოეზიის თანამედროვე ხმათა რიგში დარჩება სამუდამოდ“, — წერდა გურამ ასათიანი.

ამ სიტყვებს დამატება არ სჭირდება.

თეიმურაზ მაღლაფერიძე.

ოი, ბავშვობის დღეები

ოცნებას დავემონები
მუდამ ლაღი და იოლი,
რატომ არ ჩემი წნორები,
რატომ არ ჩემი იორი.
ჩემი ძვირფასი გორები,
ძნები — კაცები ყვითლები,
თიანეთი და სწორები,
თიანეთი და ფიქრები.
მეზობლის ბიჭის ქორწილი,
ღვინო, ეჯინი, მაყარი...
ურჩი ვაუკაცის ბორკილი —
თმა მხრებზე გადანაყარი.
ოი, რანაირ ვეძებდი,
ქალშავავ, შავი თმებითა,
ვინც მკლავდი, ვინც მახარებდი
გაყრით და შერიგებითა.
ოი, დღეებო ბავშვობის,
არასდროს დამიბრუნდებით,
დამტოვეთ, ჩუმად დამშორდით
და როგორც მტრედთა გუნდები
ცას გადაუვლით ბრძოლებით
და დამაღონებთ ოიოლად.
...რატომ არ ჩემი სწორები,
რატომ არ ჩემი იორი.

1943 წელი,
ფრონტი.

მირზა გელოვანი

მე გამარჯვება დამაბრუნებს თქვენთან, სწორებთან, მე გამარჯვება გადამიყვანს მთებზე, ქედებზე, ყოველი წვიმა თქვენს მდუმარე ცრემლს მაგონებდა, და ის ცრემლები გამარჯვების გზებს მიქეზებდნენ.

ლენინ

როცა უნებურ შევიგრძნობ დაღლას,
როცა წუხილი სახსრებში დამშლის,
ფიქრებს დავტოვებ თვალების გაღმა
და შენ სურათთან მოვდივარ მაშინ.
მოვდივარ შრომით წელში გახრილი,
გიმზერ, ქრებიან სულში ნისლები,
და წუთის წინათ ასე დაღლილი
კვლავ ძალითა და ცეცხლით ვივსები.
და გიმზერ ჩუმი, მიხარის, გიმზერ,
ბავშვის ღიმილში გრიგალი ვიცან,
სურათი მეტყვის, თუ როგორ იხსენ
ალმოდებული, მერყევი მიწა.
სურათი იტყვის გაშლილ ხელებით,
ვით ჯავშნოსანზე ოცი წლის წინათ,
როცა წითელი კრეისერები
სასახლეს სცემდნენ ყუმბარის წვიმას.
და გიმზერ ჩუმი, მიხარის, გიმზერ;
ქრებიან სულში ბაცი ნისლები
და, წუთის წინათ დაღლილი, ისევ
ბრძოლის ცეცხლით და ძალით ვივსები.

თბილისი, 1938 წ.

ნუ მწერ...

თ. მ...ს

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წაადგას ხვითოს.
რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის...
...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.
ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,
და შენ, ძვირფასო, იმ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.
ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.
მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვთ გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, —
გეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანაბული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების.

პრიჩისტი, 1948 წ.

„მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ!“

თიანეთი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 13. ეს ის სახლია, სადაც მირზა გელოვანმა თავისი სიცოცხლის 22 წელი გაატარა.

გელოვანებისეულ სახლში მემორიალური მუზეუმი 1983 წელს გაიხსნა (აქ ცხოვრობდა მირზას უფროსი ძმის თეიმურაზის ოჯახი).

„მე არ ვიცი ჩემი გენეალოგია, მაგრამ ვიცი, რომ ჩემს წინაპრებს პოეტის სახელი არც კი გაუგიათ“... მირზას ამ ლექსით და ფოტოსურათებით იწყება იმ ოჯახური გარემოს გაცოცხლება, სადაც იგი დაიბადა და დავაჟკაცდა. აი „დერბენკის“ სისტემის თოფიც, შმობლებმა ცხრა წლისას რომ უყიდეს, — ჯანსუსტია და გაკაჟდესო. აგერ, გიტარაც. ნეტა, როდის უფრო უყვარდა დამღერება? იქნებ ამ მაგიდასთან, ან ამ ფანჯარასთან მდგომმა დაწერა პირველი, მერე მეორე, მესამე... ლექსი?

ასე წავიდა ღამე,
ასე მოვიდა დილა,
ასე ნაბადი თვალებს,
ასე მაქციე ჩრდილად.
ასე ეხვდებოდით უხმოდ,
ასე დაეშორდით ჩუმად,
ასე მწყურხარ ახლაც,
ასე დავტირი გაყრას.

მუზეუმის დირექტორი, მირზას ბიძაშვილი, თენგიზ გელოვანი, 14 წლით უმროსია მირზაზე: 8 წლის ბიჭი იყო, მირზა რომ ჯარში გაიცილეს. კურდღლებზე ნადირობა გაიხსენა, ჯირითიც ჰყვარებია მირზას. რაც შეეხება ლექსს, ოჯახურ წრეში სტრიქონს ვერ წაიკითხებდი თურმე. მისი ნიადაგ სევდიანი თვალებიც კარგად ახსოვს.

მუზეუმისადმი დიდ ინტერესს იჩენს ადგილობრივი მოსახლეობა. დამთავრდა სარესტავრაციო სამუშაოები, გაიფართოეს ეზო, მუზეუმს გადაეცემა მოძიებული ელოვანისეული საოჯახო ნივთები.

მირზას სახლ-მუზეუმს მხოლოდ მემორიალური დანიშნულება როდი აქვს. აქ იმართება ხოლმე პოეზიის საღამოები. იკრიბებიან ომისა და შრომის ვეტერანები, თიანეთის წვევამდელები და მირზას ლექსებს კითხულობენ. ყოველი წლის 2 მარტს, მირზას დაბადების დღეს, მისივე სახელობის სკოლის მოსწავლეები აწყობენ აქ ლიტერატურულ დილას.

შემოდგომის ფერებით მოხატულ ეზოში მირზაზე ვსაუბრობდით. მირზას თანასკოლელს გიორგი ჭინჭარაულსა და მამიდაშვილს ბიძინა მაჩურიშვილს ბევრი აქვთ გასახსენებელი. ვინ იცის, რამდენჯერ გადაგვიკითხავს საყვარელი სტრიქონები იმ ლექსებიდან, „ცასავით სუფთა და ცაზე ვრცელი გულის პატრონმა“ რომ დაგვიტოვა. ბოლო კრებულის ანოტაციაში მითითებულია, რომ იგი ყველაზე სრული გამოცემაა. მაგრამ ეს ლექსი?

იქნებ მოვედი გვიან ან ადრე,
არ ვიცი, შენ კი, როგორც
ხელოვანს,
წინ დგილაგებ ჯერ უოქშელ
დარდებს,
გეტყვი, რაც სტკივა მირზა
გელოვანს...

ამ ლექსის ადრესატი ვახტანგ ბეწუკელია:

გეტყვი, ნისლებით რამ
მაზიარა,
ან რად დავიწყე დაქცევა
გვსლის,
რადგან ერთია ჩვენი იარა
და ერთმანეთის წუხილი
ვვესმის.

— ვახტანგ ბეწუკელი, ცნობილი ლიტერატორი და მთარგმნელი, მირზას უახლესი მეგობარი იყო, — გვითხრა მუზეუმის დირექტორმა, — ეს ლექსი კი გაზეთ „ახალი თიანეთის“ მუშაკმა ალექსანდრე ობგაიძემ გადმოგვცა ახლახანს. მირზასეული ხელნაწერი არ შემონახულა. 51 წელი მოდიოდა ეს ლექსი ჩვენამდე.

ალბათ გახსოვთ მირზას გულანთებული სიტყვები: „ჩემი ლექსები, როგორც მოლოცვა, მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ!“ მისი ლექსები მართლაც ძვირფას სახსოვრად დარჩა შთამომავლობას. და ჩვენც, ჩვენი მხრივ, გავუგზავნოთ მიხეილ ობგაიძემ ბელორუსიის შორეულ მიწაზე არდავიწყების ნიშნად ეს, ვინც ამბობდა:

„ჩვენი თვალები ვით
ვარსკვლავები,
ცას ალისფერი შუქით აღვნენ...“

ეს სტრიქონებიც იმ ლექსიდან არის...

ლელა ამისულაშვილი,
თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

შავნაბადა

ჩემო მიწავ!
ლაჟვარდებში
ვინც ქარს შეხვდა გამკლავებით,
ვინც გაღეღილ საგულეში
ჩაიბნია ვარსკვლავები,
ვინც შებორკა მტრების ზრახვა,
ვინც ქმნის მუდამ, — იგი მე ვარ.
მე ჩემს თბილისს მალე ვნახავ,
მე ნაომარ არწივს ვგევარ.
შორს სახელი გამივარდა,
შორს წასულან ჩემი ხმები.
მე ოცი წლის გმირი ვარ და
საუკუნე მიმაქვს მხრებით.

თბილისი, 1938 წ.

შავნაბადასთან, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში დგას ძეგლი მირზა გელოვანისა და გასცქერის სივრცეს.

დრომ გაფანტა პოეტის ეჭვები, 1944 წლის ივნისში რომ უზიარებდა წერილში დას — რუსუდანს, ფრონტიდან გამოგზავნილი ლექსების დაბეჭდვის დაგვიანების გამო: „ნუთუ არ ეყოთ ჩემს ლექსებს სიმართლე?“

ეყოთ, ცოცხლობენ, იცოცხლებენ... სწორედ „ფრონტული ლექსების“ კრებულისათვის მიენიჭა ნ. ოსტროვსკის სახელობის მედალი მირზა გელოვანს, მერე კი საქართველოს კომკავშირისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიები. მის ლექსებზე შეიქმნა სიმღერები, და ეს ყველაფერი — სიკვდილის შემდეგ...

სურათზე: მირზა გელოვანის ძეგლი ქალაქ ბორის ძნელაძეში (მოქანდაკე — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გ. შხვაცაბაია).

მირზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსში საჩოთირო რად უნდა ვძებნოთ,
ჩემო ენამწარე, კეთილო ძმებო.
ჩემი სატკივარი არავინ გამიკილოთ,
არ დარჩეს ხინჯი გულში მიმალული,
მირზა გელოვანი უნდა დავიტირო —
ჩვენი სიამაყე, ჩვენი სინანული.
გიყვართ უარყოფა და უთანხმოება
და თქვენი დასტურიც ძვირია, ძვირი,
მაგრამ აღიარეთ, თქვით უღმერთოებო?!
ხომ თქვენს სატირალსაც ვტირი?!
მინდა თანაგრძნობა და სწორი გაგება,
და არა ქილიკი და მეეთ-მოეთი.
გული მიკვდება და... თან მეამაყება
სამშობლოსათვის მოკლული პოეტი.
ბიჭებო, ბიჭებო, სამარ დაფდაფებს
და საძმო საფლავებს ჩვენ ჩვენი ვუზლათ,
მკლავზე დავიწვნინოთ და სიტყვით დავდაფნოთ
კაპიტნის სამხრეებით მოკლული მუზა...

ზოთა ნიუნიანიძე.

ახალგაზრდა პოეტმა ნაცნობ ქალიშვილს სოხუმიდან თბილისში მოკითხვის ბარათი გამოუგზავნა.

ცხადია, ბარათი განკუთვნილი იყო მხოლოდ ერთი ადამიანისათვის, სხვას არ უნდა წაეკითხა, ამიტომ იგი დაწერილი იყო სრულიად უპრეტენზიოდ.

დამწერს არც მხატვრულ სახეებზე უნდა ეფიქრა, არც მეტაფორებზე, არც სტილის საგანგებოდ გამართვაზე ემტვრია თავი, მოკითხვის ბარათს ეს არ მოეთხოვება. მაგრამ ავტორის უნებურად, ახლა ჩვენს ხელთ არის ნამდვილი პოეტური ნაწარმოები, უკეთ, პოეტური პროზის მშვენიერი ნიმუში, რომელშიც აღწერილია ერთი დღე და ღამე ახალგაზრდა კაცის ცხოვრებიდან; და ამ აღწერის დროს ჩვენს თვალწინ გადაიშლება მდიდარი სულიერი სამყარო, წრფელი და ალალი გული პოეტისა, რომელსაც არ შეუძლია უბრალო წერილის წერა, მისი სტრიქონები აქაც მაღალი შთაგონების მადლით არის აღსავსე.

მოკითხვის ბარათი

ზემოთქმულის დასადასტურებლად და საილუსტრაციოდ მოვიტანთ ადგილებს ამ ბარათიდან, მით უმეტეს, რომ იგი შეტანილი არ არის პოეტის თხზულებათა ყველაზე სრულ კრებულში, რომელშიც მკითხველი ეცნობა ლექსებსა და მოთხრობებს გარდა ფრონტიდან მშობლებთან და დებთან მოწერილ წერილებს. ეს წერილი კი სულ ახლახანს საქართველოს ლიტერატურის მუზეუმმა შეიძინა.

წერილში კვითხულობთ:

„...ახლა ისევ ჩემებურად მინდა გემეტყველო და შენ უნდა იქონიო მოთმინება, ან კი რა საჭიროა დალაგებით საუბარი, როცა ირგვლივ აფსაზური ღამეა და მაგნოლიების სურნელება.

წერილზე მეტყველია ის, რომ მე ამ წუთში ვეწევი ქარვისფერ თუთუნს, ვეხვევი კვამლში და ვხედავ, როგორ ირხევიან ჩრდილები ხეების ქვეშ.

გვიანაა ახლა. დავანებებ წერას თავს, გავალ ზღვასთან, ამ წუთში ღელავს ის.

რა სჯობია, ტალღა რომ დაეჯახება ნაპირს, შეგაყრის შხეფებს, შემოგღმუვლებს და წავა, რათა ისევ მოვიდეს.

ხანდახან ვფიქრობ, ალბათ მასაც მოსწყინდება ეს სიმძლავრე, შეეცდება გახდეს პატარა, რათა ჩაეტიოს ბეჭდის თვალში... რათა ჰქონდეს სინაზე ქალის წამწამისა.

პო, ამას ვფიქრობ ასეთ ღამეში... რა კარგი იქნებოდა არ ფიქრობდე კაცი ზომაზე მეტს, რა მშვიდი ვიქნებოდი მაშინ და მე განვიცდი მთელ სიმწარეს, მთელ ტრაგედიას ადამიანისას, როცა იგი ამბობდა: „ღმერთო ჩემო, მომეცი საშუალო კაცის ნიჭი“.

არც მეტი, არც ნაკლები.

ამას წინათ ზღვის პირად დავეხეტებოდი. ჩემს წინ პატარა ბიჭუნა დარბოდა, ქართულად გაჰკიოდა.

ხომ იცი, როცა ქართული იმვიათად გესმის, განსაკუთრებით ტკბილია მაშინ. მე გავაჩერე პატარა:

— ვისი ხარ?

— დედასი, — და ქერა კულულები შეარხია. ამაყად იჯდა ჯოხის ცხენზე.

— შენი დედა სად არის?

— აპაში.

— შენ კი რა გინდა აქ?

მან თავისი ფართო ლურჯი თვალებით შემომხედა და მეუბნება:

— ნავში მინდა!

მე ავიღე ბილეთი, ჩავისვი პატარა და სანამ მოსწყინდებოდა, ვაცურავე აქეთ-იქით.

მისი მშობლები დაგვხვდნენ ნაპირზე და ვაი! რაღა არ მაკადრეს მათ, გამლანძღეს, მაგინეს. ველურები — მათ სცემეს ბავშვს რად გაპყე უცნობსო, და შენ წარმოიდგინე, ბავშვმაც კი საყვედური დამანახა თავის ცისფერ თვალებში.

მთელი დღე უგულო ვიყავ ამ ამბის შემდეგ.

დავადექი შარა-გზას და გავცილდი ქალაქს, შეუმჩნეველად გავიარე რამდენიმე ვერსი, იცი, სოხუმიდან ვერ ნახავ მზის ჩასვლას, იქ კი მწვანე მოლზე ვიწექი და ვუცქერდი როგორ იძირებოდა მზე.

დაბინდდა. მღამიობები მოედვნენ ცას. შორს რაღაც აკივლდა და მე ვერ გავიგე რა იყო ის, მხეცი თუ ფრინველი.

გორდებმა გააბეს თავისი ვიშვიში, ზეცა ალაპლაპდა თეთრი ვარსკვლავებით. და მე ცივ მიწაზე ვთვლემდი საამურად.

მერე გავიგონე როგორ შემოჰკივლა მატარებელმა განათებულ სადგურს. თბილისი მომაგონდა მაშინ.

როგორ მომინდა მტკვარი და თბილისი.

ვიწექ და ვფიქრობდი: ვინ იცის ახლა უნივერსიტეტიდან მოდიან ისინი (თქვენ ყველანი). ჩაუვლიან ჩემს ჩამჭრალ ბინას და ვინძლო გავახსენდე ვისმეს. მაშინ მომენატრეთ, როგორც არასოდეს, პირდაპირ მწყურდა ვინმეს დაეძახა საამო მირზოს!“.

მე გული მტკიოდა და ეს პირველად, რაც აქ ჩამოვედი.

გამოვყევი შინას ჩუმი ნაბიჯებით. შევცქეროდი ზეცას და პონტოს პორიზონტს. ბუჩქებს წამოვედე. დავიმუხლე მოლზე.

ვამბობდი, რომ ქვეყნად არა ღირს იცხოვრო, ასე განდეგილმა, ასე იჭვიანმა. და თვითონ არ ვიცი, თუ რას არ ვამბობდი. წამოვდექ და წამოველ ბარბაცა ნაბიჯით, შავი ღამე იყო და მე მეშინოდა. ვწყევლიდი, ვლანძღავდი ჩემს გადაგვარებას, ბოდიშს გავკიოდი ზღვასა და ღამეს. ეს რა დამემართა თვითონაც არ ვიცი“...

შემდეგ ავტორი ჰყვება სახიფათო თავგადასავალზე, რომელიც იმ ღამეს

ᲣᲙᲜᲝᲠᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲘᲣᲤᲘᲡᲔᲑᲐ

3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲨᲘ

28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ დაიწყო და წარმატებით გრძელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის მოგზაურობა ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში. საბჭოთა მინისტრმა უკვე გამართა ოფიციალური ვიზიტები ბრაზილიასა და არგენტინაში. მომავალ კვირაში იგი ურუგვაისა და კუბას ეწვევა.

ყველა ეს ქვეყანა ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამასთანავე დაშორებულია საბჭოთა კავშირს, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნა არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. კაპუტომ, „გეოგრაფიული სიშორისა და სოციალურ სისტემათა განსხვავების მიუხედავად, მთ აქვთ მსგავსი პოზიციები უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებთან დაკავშირებით და რეალური შესაძლებლობანი წარმატებით განვითარონ ორივე მხარისათვის ხელსაყრელი თანამშრომლობა“.

ბრაზილიასა და არგენტინაში ვიზიტების შედეგებმა ცხადყო, რომ რეალურად არსებობს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური დიალოგის შემდგომი გაფართოებისა და ურთიერთობის ორმხრივ ხელსაყრელი განვითარების პოზიტიური პერსპექტივები. საერთაშორისო მდგომარეობის განხილვისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ თანამედროვე ეპოქის მთავარი საკითხია კაცობრიობის ცივილიზაციის შენარჩუნება, უბრთვო და უძალადო სამყაროს აშენება, საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით. საბჭოთა კავშირის მხრივ გამოითქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს კონსტრუქციული წვლილი შეაქვთ გამაღებული შეიარაღების ალაგმვაში, ხალხთა შორის მშვიდობის, თანამშრომლობისა და ნდობის განმტკიცებაში.

როგორც ბრაზილიაში, ისე არგენტინაში მოლაპარაკებ ი ს დროს დიდი ყურადღება დაეთმო საგარეო ვაჭრ პრობლემას. ეს პრობლემა საკვანძოა მოლიანად განვითარებადი ქვეყნებისათვის და, კერძოდ, ლათინური ამერიკისათვის. საკმარისია ითქვას, რომ დასავლეთისადმი მისი ვალი ამჟამად 400 მილიარდ დოლარს შეადგენს და მარტო ამ ვალის სარგებლის გადახდა ხთქავს ლათინური ამერიკის ქვეყნების საექსპორტო შემოსავლის თითქმის ნახევარს. ცხადია, რომ ეს პრობლემა, როგორც საბჭოთა მხარემ განაცხადა, შეიძენა გადაიჭრას მხოლოდ გლობალური და სამართლიანი მოწესრიგების გზით, რომელიც გაითვალისწინებდა განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნილებებს, აგრეთვე მსოფლიო მეურნეობის სტაბილური და ჰარმონიული განვითარების ინტერესებს.

ორივე ქვეყანაში საბჭოთა მინისტრის მოლაპარაკების დროს უაღრესად საჭიროდ იქნა მიჩნეული პრაქტიკულად განხორციელდეს პრინციპი „განიარაღება განვითარებისათვის“. განიარაღების საქმეში რეალური ძვრის მიღწევა ხომ შესაძლებლობას მოგვცემდა დამატებითი რესურსები მოვახმაროთ ბევრი საარსებო ეკონომიკური და სოციალური პრობლემის გადაჭრას. კერძოდ, განვითარებადს ქვეყნებში.

ცნობილია, რომ მსოფლიო ვითარებისათვის საშიშია მსოფლიო ეკონომიკის წონასწორობის სერიოზული დარღვევების შენარჩუნება და სულ უფრო მზარდი განსხვავება განვითარებულ და განვითარებადს ქვეყნებს შორის. ამასთან დაკავშირებით მინისტრებმა დაადასტურეს თავიანთი მტკიცე რწმენა, რომ საჭიროა უზრუნველყონ სახელმწიფოთა ეკონომიკური უშიშროება, ყოველი ღონე იხმარონ, რათა ეძებონ ახალი საერთაშორისო ეკონომიკ უ რ ი წყობის დამყარების გზები და ამ პროცესში ეფექტიანი მონაწილეობა მიიღოს ყველა ქვეყანამ, მათი პოლიტიკური და სოციალური სისტემების მიუხედავად.

◆ ᲐᲨᲨ

ᲛᲝᲘᲬᲧᲝᲜᲔᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. მრავალი თვის დაძაბული კამათის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა პარასკევს 56 ხმით 42-ის წინააღმდეგ მოიწონა კანონპროექტი პენტაგონის უკვე 1 ოქტომბერს დაწყებული 1988 საფინანსო წლის ბიუჯეტის შესახებ. დოკუმენტი ითვალისწინებს სამხედრო უწყებისათვის დაახლოებით 303 მილიარდი დოლარის გამოყოფას. დანარჩენი თანხა კი უნდა განსაზღვროს კონგრესის შემთანხმებელმა კომიტეტმა, რომელმაც ჯერ უნდა მოაწესრიგოს მრავალი უთანხმოება, რომლებიც ამ საკითხზე წარმოიშვა სენატსა და წარმომადგენელთა პალატას შორის.

◆ ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲢᲘᲑᲔᲢᲨᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. ტიბეტის რაიონის ცენტრალურ ქალაქ ლხასაში დაიწყო არეულობა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 1 ოქტომბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 38 წლისთავზე, სეპარატისტთა პატარა ჯგუფმა, რომელთა შორის იყვნენ ბუდისტური ბერებიც, მოაწყო დემონსტრაცია „დამოუკიდებელი ტიბეტის“ შექმნის ლოზუნგით. ცეცხლი წაუკიდეს პოლიციის უბანს, ავტომობილებს. პოლიციელებისათვის წარმოუდგენელი იარაღით, ნათქვამია სააგენტოს ინფორმაციაში, სროლა აუტეხეს უშიშროების სამსახურის თანამშრომლებსა და გამვლელებს. სინხუას წინასწარი ცნობების თანახმად, მოკლულია ექვსი კაცი. 19 პოლიციელი დაიჭრა.

ლხასაში მომხდარ ამბებს ჩინეთის პრესა უკავშირებს ამერიკის შეერთებულ შტატებში დალაილამას ყოფნას. სინხუას სააგენტო აღნიშნავს, რომ იგი ამის წინათ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში, სადაც მოითხოვდა „დამოუკიდებელი ტიბეტის“ შექმნას.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ

ᲜᲔᲓᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „დესანტი“ გადმოსხდა საბჭოთა კავშირის ბაგაი-ბარანოვკის სამხედრო აეროდრომზე. 3 ოქტომბერს სამმა თვითმფრინავმა აქ ჩამოიყვანა ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ ჟენევის მოლაპარაკების მონაწილე და მთელი რიგი მეთვალყურე სახელმწიფოების ასზე მეტი წარმომადგენელი.

ნდობის ატმოსფეროს შესაქმნელად საბჭოთა კავშირმა ისინი მოიწვია შიხანის სამხედრო ობიექტში, რათა გაეცნონ ჩვენში არსებული ქიმიური საბრძოლო მასალების ტიპურ ნიმუშებსა და მათი განადგურების ტექნოლოგიებს. წინადადების დათანხმდნენ, და აი იგი საქმით არის რეალიზებული.

საზღვარგარეთელ სტუმრებს შორის არიან თხუთმეტი უმაღლესი რანგის დიპლომატი-ელჩი, ოთხი გენერალი, წამყვანი სამხედრო ექსპერტები, მეცნიერები, ჟურნალისტები.

გასცდა რა „აკრძალული ზონის“ ნიშნებს, საკონტროლო-გამშვები პუნქტების შლაგბაუმებს, ავტობუსების კოლონა გაეშართა შიხანისაკენ. აქ სტუმრებს მეესალმნენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ქიმიური ჯარების უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. კ. პიკალოვი და ობიექტის უფროსი, გენერალ-მაიორი რ. თ. რაზუვანოვი.

პოლიგონზე მოეწყო ჩვენება. გამოტანილი იყო ტაქტიკური რაკეტების ქობინები, ავიაბომბები, საარტილერიო რეაქტიული ნაღმები, ხელყუმბარები. აქ წარმოდგენილია 19 ტიპობრივი ნიმუში — ქიმიური შეიარაღების მთელი სპექტრი. სტენდებზე მოცემულია ციფრები და ფორმულები, საბრძოლო მასალებისა და მომწამვლელი ნივთიერებების მახასიათებლები. მათ შესახებ სრული ცნობები მოიყვანეს თავიანთ მოხსენებებში საბჭოთა სპეციალისტებმა. იქვე განლაგებულია პავილიონი, სადაც დამონტაჟებულია ქიმიური იარაღის განადგურების მოძრავი კომპლექსი. დღეს იგი ამოქმედდება და ქიმიური საბრძოლო მასალა ჩვენების მონაწილეთა თვალწინ დაკარგავს ძალას.

(საკდესის სპეც. კორ.)
ᲨᲘᲮᲐᲜᲘ, ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მოლაპარაკების მონაწილენი ათვალიერებენ საბრძოლო მასალებს; ნ. ა. პახომოვი აჩვენებს ქიმიურ იარაღს.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲠᲝᲪᲐ ადამიანი პროფესიას ირჩევს, უპირველესად გულს ეკითხება. სხვანაირად წარმოუდგენელიც არის. გულს უნდა ჰკითხო, შეგიძლია თუ არა შეიყვარო ის საქმე, რომელსაც უნდა უძღვნა შენი შრომა, მთელი შენი მომავალი ცხოვრება, უსიყვარულოდ, უგულოდ ხელი არაფერს უნდა მოჰკიდო. ფიფიების დიდი ოჯახის ყველა წევრს კი, ვისზეც ახლა უნდა გიამბოთ, საქმის უდიდესი სიყვარულის გარდა, მასწავლებლობა ტრადიციულად მოსდგამთ.

ზუგდიდ-წალენჯიხის საზღვართან ერთი მშვენიერი, მწვანეში ჩაფლული სოფელია — ჩხორია. ამ სოფელში ცხოვრობს და მოღვაწეობს საქვეყნოდ ცნობილი პედაგოგთა დიდი ოჯახი, რომელსაც ახლა სათავეში გიორგი ფიფია უდგას.

სახელი და დიდება, საყოველთაო აღიარება დიდი ხანია ეწვია გიორგი ფიფიას და მის დიდ პედაგოგიურ ოჯახს. რესპუბლიკაში ბევრი არ არის ისეთი მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომლის ყველა წევრი მასწავლებელია. გიორგის შესანიშნავ პარტნიორობას უწევს მისი მეუღლე შუშანა ქუხილავა, ჩხორიის საშუალო სკოლის პედაგოგი. მშობლების კვალს უფოყმანოდ გაჰყვნენ შვილები: ქეთევანი, მარიზა და გიგლაც მათემატიკის მასწავლებლები არიან — საგნის სწავლების სხვადასხვა საკითხებს ხშირად მცირე ოჯახურ პედსაბჭოზე წყვეტენ. რძალიც პედაგოგი ჰყავთ — ფილოლოგი.

უხვმოსავლიანი შემოდგომა უდგას გიორგი ფიფიას. იგი ახლა 52 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის მოსავალს იმკის. დასასვენებლად კი არ სცალია და, ალბათ, დიდხანს ვერ მოიცლის, რადგან სკოლას ახლა განსწავლების ჟამი დაუდგა, ის ჟამი, რომელზეც ნიადაგ ოცნებობდა ფიფიების დინასტიის ბერმუხა. ახლა იგი და მისი ოჯახის მონოლითურად შეკრული „პედკოლექტივი“ იმის ცდაშია, რომ მათმა სკოლამ თავისი სიტყვა თქვას გარდაქმნის, დემოკრატიზაციის პროცესში.

Ვ. ᲩᲐᲩᲘᲒᲐᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ბედნიერია ფიფიების დიდი ოჯახი.

ᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐᲗ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲑᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲠᲘ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲗᲐᲜ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ გარი კასპაროვი ამთავრებს მზადებას ანატოლი კარპოვთან მსოფლიო პირველობაზე მატჩისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონს თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტმა კომენტარი სთხოვა სსრ კავშირში საბჭოთა დიდოსტატების ასოციაციის შექმნასთან დაკავშირებით.

„ᲛᲬ“: რა აზრი აქვს ასეთი გაერთიანების შექმნას, როცა არსებობს სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია?

კასპაროვი: მოდით, ჯერ ის განვსაზღვროთ, რას წარმოადგენს საერთოდ ამა თუ იმ სახეობის სპორტის ნებისმიერი ფედერაცია. ეს არის სსრ კავშირის სპორტსახკომთან არსებული უნიფიცირებული სათათბირო ორგანო, და ფედერაციის დადაწყვეტილება მთავრის საკალდებულო არ არის. ფედერაციას ფინანსური საფუძველი არ გააჩნია და არც რეალური წევრები ჰყავს. ასახელებენ ოთხ მილიონ მოჭადრაკეს, რომლებსაც სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია მეურვეობს. საიდან მოვიდა ეს ციფრი? გამოცანაა. იქნებ, საბჭოთა კავშირში მილიონი, ან სულაც 10 მილიონი მოჭადრაკეა? არ არსებობს საწევრო ბილეთი, არ არსებობს საწევრო შესატანი...

სხვათა შორის, როგორც კი ასოციაციაზე ჩამოვარდება საუბარი, მაშინვე ამ კითხვით მოგვმართავენ, თქვენ რომ დამისვით. გვთავაზობენ ჭადრაკის ფედერაციის ერთ-ერთი ქვეგანყოფი გავხდეთ. მაგრამ სხვა სათათბირო ორგანოსთან არსებულ სათათბირო ორგანოდ გახდომა ხომ აბსურდია. ასოციაციის ჩამოყალიბება ფედერაციასთან დაპირისპირებას კი არ გულისხმობს, არამედ ცდას — წინააღვუდგეთ ისეთ პროცესს, როცა რამდენიმე მოხელეს შეუძლია განსაზღვროს ჭადრაკის განვითარების გზები. ასოციაციის უყრადღების ცენტრში იქნება პროფესიული საკითხები, თვითანაზღაურება, საჭადრაკო გამომცემლობა. თითქმის ოთხმოც საბჭოთა დიდოსტატს საშუალება მიეცემა თვითონვე მოუაროს თავის საქმეს, ამასთან დაეხმაროს ფედერაციას სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში. პრობლემები კი საკმაოდ დაგვიგროვდა. ჩემი აზრით, ფედერაციის მომავალ გარდაქმნას სწორედ დიდოსტატთა ასოციაციის მაგალითი უნდა დაედოს საფუძვლად. აჯობებს, კარდინალური გარდაქმნა ჯერ ასეულებს შეეხოს, შემდეგ — მილიონებს.

ფედერაცია იურიდიული პირი არ არის, ასოციაცია კი იმ ვარაუდით იქმნება, რომ როცა კრება (არანაკლებ ათი კაცისა) თავის წესდებას შეიმუშავებს, მას დასამტკიცებლად წარუდგენს სსრ კავშირის სპორტსახკომს. თუ წესდება დამტკიცდება, ასოციაცია მიიღებს ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსს, წესდების შესრულებას კი სპორტკომიტეტი გააკონტროლებს. ასოციაცია საბჭოთა კანონების შესაბამისად იქმნება.

ვინ უნდა წავიდეს საერთაშორისო ტურნირზე? ვინ იქნება ნაკრების შემადგენლობაში? როგორ და რა წესებით გაიმართება ესა თუ ის შეჯიბრება? ამგვარ საკითხებს, ჩემი აზრით, სპორტსახკომის ჭადრაკის სამართველო (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადმინისტრაციული სისტემა) კი არ უნდა წყვეტდეს, არამედ დიდოსტატთა ასოციაცია, შემდგომში, შეიძლება, ფედერაციაც. დარწმუნებული ვარ, მომავალი სპორტში სწორედ ასეთ პროფესიულ ორგანიზაციებს ეკუთვნით.

რა თქმა უნდა, წესდება შეიძლება არ დაამტკიცონ, შეიძლება ჩვენ ფედერაციაში „დაგვმალონ“, მაგრამ ხომ უნდა დავარქვათ საგანს თავისი სახელი. პროცესის დამუხრუჭება შეიძლება, მაგრამ მას ვერ შეაჩერებ.

„ᲛᲬ“: რომელიმე დიდოსტატს უარი ხომ არ უთქვამს ასოციაციაში გაერთიანებაზე?

კასპაროვი: მაისში და აგვისტოში ორი საორგანიზაციო კრება მოვაწყეთ. პირველი კრების რეზოლუცია, ეტყობა, მეტისმეტად მკაცრი გამოგვივდა და ამან, ჩემი აზრით, შეაშინა ზოგიერთები. რეზოლუციას სულ ორმოცდაორმა კაცმა მოაწერა ხელი. მეორე რეზოლუცია უფრო რეალისტური იყო და უკვე ორმოცდათორმეტმა კაცმა, პრაქტიკულად, დღეისათვის მოქმედმა ყველა დიდოსტატმა დაგვიჭირა მხარი. ორივე სხდომას მსოფლიოს მრავალზის ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი თავჯდომარეობდა. პრეზიდიუმში სხვადასხვა წლების ყველა საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონი გაერთიანდა. დამერწმუნებინა, ავტორიტეტული ორგანოა.

შეიქმნა სარედაქციო კომისია, რომელიც ახალი ორგანიზაციის წესდებას შეიმუშავებს. კომისიაში შევიდნენ ბოტვინიკი, კასპაროვი, კარპოვი, იუსუპოვი, ტუკმაკოვი, ალექსანდრია და ბელიავსკი.

„ᲛᲬ“: რით გამოიხატება საბჭოთა და საერთაშორისო დიდოსტატთა ასოციაციების დემოკრატიულობა?

კასპაროვი: საბჭოთა ასოციაცია ჯერჯერობით არ შექმნილა, ასე რომ, შეიძლია ვისაუბრო საერთაშორისო ასოციაციის მაგალითზე, რომლის პრეზიდენტიც მე გახლავართ. ასოციაციას „გარედან“ ვერავინ მოახვევს თავის აზრს. მის ხელმძღვანელ ორგანოში შვიდი მოქმედი დიდოსტატია. ასოციაცია უფლებამოსილია გადაარჩიოს ისინი. საერთო კრება ირჩევს ექვს დიდოსტატს, მეშვიდე ადგილს მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი იკავებს. სამ წელიწადში ერთხელ ხდება გადარჩევა. არჩევნები თვითშვიდეულშიც ეწყობა და ყოველ წელს ირჩევენ პრეზიდენტს და ორ ვიცე-პრეზიდენტს. განა ეს დემოკრატიის გარანტია არ არის?

„ᲛᲬ“. რა ურთიერთობაა ფიდესა (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია) და დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციას შორის?

კასპაროვი: ფიდეს გამო ჩვენი ურთიერთობა მკვეთრად გამწვავდა. საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ არ მიიღო ასოციაციის მიერ უკვე შესაბამის კვების რეჟიმს დაუნიშნავს.

▼▼

ᲕᲐᲜᲨᲘ მუშაობა დაამთავრა მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმმა, რომელმაც განიხილა შავი ზღვისპირეთის

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ოთარ ლორთქიფანიძემ.

რამდენიმე დღის განმავლობაში სიმპოზიუმზე მოისმინეს ორმოცზე მეტი სამეცნიერო ინფორმაცია, რომლებშიც დოკუმენტური მასალებით დასტურდება ისტორიული წყაროების მონაცემები ბერძნული კოლონიზაციის პერიოდის (ძვ. წ. VII-VI ს.) შესახებ.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ვანის ნაქალაქარი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება შესწავლილ პერიოდს. აქ განსაკუთრებით მკაფიოდ შეიმჩნევა კოლხებისა და ბერძნების მჭიდრო კონტაქტი. სტუმრები გაეცნენ არქეოლოგიური აღმოჩენების უმდიდრეს მასალებს.

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲛᲐ Რ. ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ᲜᲔᲢᲐᲛᲪ ᲙᲘ ᲞᲘᲠᲩᲘᲗ ᲘᲧᲝᲡ!

ᲘᲡᲔ წავიდა ჩვენი სჯმე, ერთ მშვენიერ დღეს გარემო ერთბაშად რომ გაიწმინდოს და გასუფთავდეს, მგონი, კაცობრიობას კარგი არაფერი დაემართებოდა; მეტისმეტად შეეჭვია ჩვენი ორგანიზმი ათასნაირი შხამ-ქიმიკატ-გამონაბოლქვით შეზავებულ ჰაერს (ამის შესახებ ბრწყინვალე მოთხრობა აქვს საქვეყნოდ ცნობილ მწერალს აზიზ ნესინს და ჯერჯერობით ვიკმაროთ).

ეს კი ასეა, მაგრამ არ იქნება სწორი, ნათქვამი ისე გავიგოთ, თითქოს ადამიანები უკვე მზად ვიყოთ ჟანგბადი სავსებით დავთმოთ და უშუალოდ აზოტის ქარხნის საკვამლე მილიდან ამომავალი აირით ან „იკარუს“ ავტობუსის ნამწვის გამონაბოლქვით ვისუნთქოთ და ვიყოთ არხეინად. სამწუხაროდ, ჯერ ამას ვერ მივაღწიეთ, თუმცა ბევრი ჩვენი თანამედროვე არაფერს იშურებს, რომ დროს გაუსწროს. ამ მხრივ განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოირჩევიან ჩვენი ავტომანქანების მფლობელები, პროფესიონალი მძღოლები და ავტოსაწარმოთა პატრონ-განმგებელები. ავად თუ კარგად, ისინი ყველაფერზე ზრუნავენ, იმაზე კი ყველაზე ნაკლებად, მანქანიდან ბოლქვ-ბოლქვად გამოშლილი შავი „მლეიფი“ სულსა და გულს რომ არ გვიწამლავდეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში და მაგისტრალებზე ბევრი მანქანა ისეთი კვამლის კუდით მირბის და მირბის, თავი შორს თუ არ დაიჭირე, არამცთუ მოიწამლები, გაიჭვარტლები კიდეც.

მე მაინდამაინც არ მიკვირს, ყველა რომ შეგნებული მოფერი და მანქანის პატრონი არ გვყავს, უფრო ის მაოცებს, ყოველივე ამის შემსედვარეს, რა გული უთმენთ გარემოს გაჭუჭყიანების კონტროლის სამსახურისა და ჩვენი ავტოინსპექციის მუშაკებს!

გავიკითხ-გამოვიკითხეთ, მაგრამ ჯერჯერობით მილიონიან ქალაქში მხოლოდ თითო-ოროლა მოქალაქე ვნახეთ, რომლებმაც დაგვიდასტურეს, ამა და ამ დროს მავანმა ავტოინსპექტორმა ავტომანქანა გააჩერა და მოკრძალებულად შენიშნა, შეგვაწუხა თქვენი მანქანის კვამლმა, ვაითუ, თქვენც რამე გაგნოთო...

ჰოდა, ვიდრე სანთლით საძებნელი გვეყოლება ასეთი ინსპექტორები, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჭიანჭველაზე უფრო გაგვიმრავლდება ჰაერის დამბინძურებელი „ავტო-მოტო-მობილები“...

გამოცდილებით ვიცით, ადგილ ცხადზე უცხადეს ამბავზე წერდეს ჟურნალისტი, საკუთარი მუნდირის უკიდურესად პატივი-სცემელ ამხანაგებს უყვართ მკაცრად შენიშვნა: ფაქტები, ფაქტები სად არისო (ვითომ თვითონ ჩვენზე უკეთ არ იცოდნენ, რაც ხდება)!

რაზე გავირთულო საქმე, რა შორს წასვლა მე დამჭირდება, აგერ, ამწუთას, გამოვაღებ სარკმელს და მოგახსენებთ: კვამლით და ჭვარტლით გვავსებენ ავტობუსები გამ 54-00, გამ 54-06...

თუმცა დიდხანს ცდა არ დამჭირდება, მესამეს ვეღარ დავეღოდები.

ან, რა საჭიროა.

ესეც ხომ ისე — ხილად და ფორმის გულისთვის მოგახსენეთ, თორემ ასეთ ფაქტებს ან თქვენ ან მე რა გამოგვიკვლია.

ნეტამც ეს პირიქით იყოს — თითზე დაითვლებოდეს.

ნეტამც!..

Თ. ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲒᲘᲐᲜᲘ.

ᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐᲗ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲑᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲠᲘ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲗᲐᲜ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ გარი კასპაროვი ამთავრებს მზადებას ანატოლი კარპოვთან მსოფლიო პირველობაზე მატჩისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონს თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტმა კომენტარი სთხოვა სსრ კავშირში საბჭოთა დიდოსტატების ასოციაციის შექმნასთან დაკავშირებით.

„ᲛᲬ“: რა აზრი აქვს ასეთი გაერთიანების შექმნას, როცა არსებობს სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია?

კასპაროვი: მოდით, ჯერ ის განვსაზღვროთ, რას წარმოადგენს საერთოდ ამა თუ იმ სახეობის სპორტის ნებისმიერი ფედერაცია. ეს არის სსრ კავშირის სპორტსახკომთან არსებული უნიფიცირებული სათათბირო ორგანო, და ფედერაციის დადაწყვეტილება მთავრის საკალდებულო არ არის. ფედერაციას ფინანსური საფუძველი არ გააჩნია და არც რეალური წევრები ჰყავს. ასახელებენ ოთხ მილიონ მოჭადრაკეს, რომლებსაც სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია მეურვეობს. საიდან მოვიდა ეს ციფრი? გამოცანაა. იქნებ, საბჭოთა კავშირში მილიონი, ან სულაც 10 მილიონი მოჭადრაკეა? არ არსებობს საწევრო ბილეთი, არ არსებობს საწევრო შესატანი...

სხვათა შორის, როგორც კი ასოციაციაზე ჩამოვარდება საუბარი, მაშინვე ამ კითხვით მოგვმართავენ, თქვენ რომ დამისვით. გვთავაზობენ ჭადრაკის ფედერაციის ერთ-ერთი ქვეგანყოფი გავხდეთ. მაგრამ სხვა სათათბირო ორგანოსთან არსებულ სათათბირო ორგანოდ გახდომა ხომ აბსურდია. ასოციაციის ჩამოყალიბება ფედერაციასთან დაპირისპირებას კი არ გულისხმობს, არამედ ცდას — წინააღვუდგეთ ისეთ პროცესს, როცა რამდენიმე მოხელეს შეუძლია განსაზღვროს ჭადრაკის განვითარების გზები. ასოციაციის უყრადღების ცენტრში იქნება პროფესიული საკითხები, თვითანაზღაურება, საჭადრაკო გამომცემლობა. თითქმის ოთხმოც საბჭოთა დიდოსტატს საშუალება მიეცემა თვითონვე მოუაროს თავის საქმეს, ამასთან დაეხმაროს ფედერაციას სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში. პრობლემები კი საკმაოდ დაგვიგროვდა. ჩემი აზრით, ფედერაციის მომავალ გარდაქმნას სწორედ დიდოსტატთა ასოციაციის მაგალითი უნდა დაედოს საფუძვლად. აჯობებს, კარდინალური გარდაქმნა ჯერ ასეულებს შეეხოს, შემდეგ — მილიონებს.

ფედერაცია იურიდიული პირი არ არის, ასოციაცია კი იმ ვარაუდით იქმნება, რომ როცა კრება (არანაკლებ ათი კაცისა) თავის წესდებას შეიმუშავებს, მას დასამტკიცებლად წარუდგენს სსრ კავშირის სპორტსახკომს. თუ წესდება დამტკიცდება, ასოციაცია მიიღებს ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსს, წესდების შესრულებას კი სპორტკომიტეტი გააკონტროლებს. ასოციაცია საბჭოთა კანონების შესაბამისად იქმნება.

ვინ უნდა წავიდეს საერთაშორისო ტურნირზე? ვინ იქნება ნაკრების შემადგენლობაში? როგორ და რა წესებით გაიმართება ესა თუ ის შეჯიბრება? ამგვარ საკითხებს, ჩემი აზრით, სპორტსახკომის ჭადრაკის სამართველო (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადმინისტრაციული სისტემა) კი არ უნდა წყვეტდეს, არამედ დიდოსტატთა ასოციაცია, შემდგომში, შეიძლება, ფედერაციაც. დარწმუნებული ვარ, მომავალი სპორტში სწორედ ასეთ პროფესიულ ორგანიზაციებს ეკუთვნით.

რა თქმა უნდა, წესდება შეიძლება არ დაამტკიცონ, შეიძლება ჩვენ ფედერაციაში „დაგვმალონ“, მაგრამ ხომ უნდა დავარქვათ საგანს თავისი სახელი. პროცესის დამუხრუჭება შეიძლება, მაგრამ მას ვერ შეაჩერებ.

„ᲛᲬ“: რომელიმე დიდოსტატს უარი ხომ არ უთქვამს ასოციაციაში გაერთიანებაზე?

კასპაროვი: მაისში და აგვისტოში ორი საორგანიზაციო კრება მოვაწყეთ. პირველი კრების რეზოლუცია, ეტყობა, მეტისმეტად მკაცრი გამოგვივდა და ამან, ჩემი აზრით, შეაშინა ზოგიერთები. რეზოლუციას სულ ორმოცდაორმა კაცმა მოაწერა ხელი. მეორე რეზოლუცია უფრო რეალისტური იყო და უკვე ორმოცდათორმეტმა კაცმა, პრაქტიკულად, დღეისათვის მოქმედმა ყველა დიდოსტატმა დაგვიჭირა მხარი. ორივე სხდომას მსოფლიოს მრავალზის ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი თავჯდომარეობდა. პრეზიდიუმში სხვადასხვა წლების ყველა საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონი გაერთიანდა. დამერწმუნებინა, ავტორიტეტული ორგანოა.

შეიქმნა სარედაქციო კომისია, რომელიც ახალი ორგანიზაციის წესდებას შეიმუშავებს. კომისიაში შევიდნენ ბოტვინიკი, კასპაროვი, კარპოვი, იუსუპოვი, ტუკმაკოვი, ალექსანდრია და ბელიავსკი.

„ᲛᲬ“: რით გამოიხატება საბჭოთა და საერთაშორისო დიდოსტატთა ასოციაციების დემოკრატიულობა?

კასპაროვი: საბჭოთა ასოციაცია ჯერჯერობით არ შექმნილა, ასე რომ, შეიძლია ვისაუბრო საერთაშორისო ასოციაციის მაგალითზე, რომლის პრეზიდენტიც მე გახლავართ. ასოციაციას „გარედან“